# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 მაისი, 2012 წელი.

№82 (6959)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რას და როგორ ხმარდება საბიუჯეტო სახსრები?



4

## ლაღიძის წყლების ნაცვლად - კოკა-კოლა და „მი სუენიო?“ ეს „ვაშინერს“, ბატონებო!



3

## საქართველო „მერსედესის“ ინვესტიციების გარეშე?!

4



## რატომ არ ასრულებენ ნაციონალები თავიანთმიერვე მიღებულ კანონს?

„ნაციონალური“ უფასო სასადილო ხობში ისევ გამოჩნდა

7





## ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შედეგები

5

## ფული, რომელიც ყარს და რომელიც სურნელს აფრქვევს



## ახლა ქართველებისადმი ლოიალობას ის აფხაზები ავლენენ, ვინც ადრე აგრესიული იყო და ომში აქვს მიღებული მონაწილეობა

9

## რას ნიშნავს ევრაზიული კავშირი ვაშინგტონისთვის

8

## როგორ ჩააბარა ინგლისელმა ლედიმ სსრ კავშირს ბირთვული ბომბი

11

ფაქტი

# „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, ქუთაისში ახალგაზრდული მოძრაობის აქცია დაშალეს

**ქუთაისში კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული მოძრაობის აქცია დაშალეს, - ამის შესახებ ინფორმაცია და ვიდეომასალა „facebook“-ში, ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. „კოალიციის ახალგაზრდული მოძრაობის წევრებმა 2 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან 24 საათზე სანთლების აქცია გამართეს.** სიმბოლური აქცია რუსთაველის ქუჩიდან მშვიდობიანი მსვლელობით დაიწყო და აღმაშენებლის ძეგლთან დასრულდა, სადაც ახალგაზრდებმა სანთლებით გამოსახეს წარწერა „გილოცავთ ქუთაისობას„. კოალიციის ახალგაზრდული მოძრაობის წევრთა განცხადებით, მოულოდნელად აღნიშნულ ტერიტორიაზე ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მანქანა გამოჩნდა და აქციის მონაწილეებს წყლის ჭავლი მიუშვა. გამოჩნდნენ უცნობი პირებიც, რომლებშიც აქციის მონაწილეებმა მერიის




თანამშრომლები ამოიცნეს. მათ ახალგაზრდებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, პროვოკაციის მოწყობას შეეცადნენ. ინციდენტის შემდეგ ახალგაზრდებმა მიმდებარე ტერიტორია დატოვეს“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

**ინტერპრესნიუსი**

რას არ გაიგონებ!

**საქართველოს მთავრობა, ერთ თვეში, ერთჯერად ამნისტიას აამოქმედებს, რომლის მიხედვით, თუ ფიზიკური პირი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადის დეკლარირებას 2014 წლის 1 იანვრამდე მოახდენს, ის ჯარიმისგან გათავისუფლდება.**

როგორც პრესა.ჯი-ს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განუცხადა, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება, რომ ადმინისტრაციული პროცედურების და წესების გამარტივება მოხდეს და ის ნებისმიერი მეწარმისათვის თანაბრად იყოს გასაგები.

მისი განმარტებით, დღეს მოქმედი კანონით, თუ პირმა 2004 წლის 1 მარტის შემდგომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი შეიძინა, ის დეკლარაციის სავალდებულო შევსებას ექვემდებარება. კერძოდ, არსებული რეგულაციით, მიწის ფართობი ყოველწლიურად უნდა დარეგისტრირდეს, დეკლარაცია შეივსოს და შესაბამისი გადასახადის გადახდაც მოხდეს.

„კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ეს იმ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს არ ეხება, რომლებიც შეძენილია 2004 წლის 1 მარტამდე და თუ მოქალაქეს მხოლოდ 5 ჰა-ზე ნაკლები ნაკვეთი აქვს. ასეთ შემთხვევაში, გადასახდები არ არსებობს და შესაბამისად არ არსებობს დეკლარირების ვალდებულება, მაგრამ 2004 წლის 1 მარტის შემდეგ, დეკლარირება არის წარმოშობილი. ისმება კითხვა: რა მოხდება თუ ადამიანმა 2004 წლის 1 მარტის შემდეგ, მიწის ნაკვეთი შეიძინა და არც ერთ წელს დეკლარაცია არ აქვს შევსებული? ამ შემთხვევაში, კანონი პოზიციას ძალიან მკაფიოდ და მკაცრად აფიქსირებს. კერძოდ, დეკლარაციის შეუვსებლობის გამო, პირს, ნებისმიერ გასულ თვეზე, ჯარიმა მინიმუმ 200 ლარის ოდენობით დაეკისრება, რაც შეიძლება გაიზარდოს კიდეც“, — აცხადებს ხუროშვილი.

## მიწის მფლობელი, დეკლარაციის შევსების სანაცვლოდ, ჯარიმისგან გათავისუფლდება

მთავრობის საპარლამენტო მდივნის განმარტებით, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, ერთჯერადი ამნისტია გამოაცხადოს.

„მთავრობის წინადადებით, მიუხედავად, იმისა რომ ადამიანმა კანონის დადგენილი წესი დაარღვია, დეკლარაცია არ შეავსო და შესაბამისი თანხა არ გადაიხადა, მას ეს ეპატიება. კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლება ერთჯერადი ამნისტიით გამოდის, რომელიც ერთი თვის ვადაში ამოქმედდება და ჩვენ ყველა იმ ადამიანს მოვუწოდებთ, რომელიც საკუთრებაში ფლობს 2004 წლის 1 მარტის შემდგომ სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, შემოსავლების სამსახურის შესაბამის სამსახურში მივიდნენ და მიწის ნაკვეთები დაადეკლარირონ. ასეთ შემთხვევაში, მათ არანაირი ჯარიმის გადახდა არ მოუწევთ. ჯარიმას ვხსნით, მაგრამ არსებული რესურსის ფარგლებში, ადამიანებს გადასახადების გადახდა მოუწევთ, რაც სავალდებულო იქნება“, — დასძინა ხუროშვილმა.



შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ცვლილებას, „საგადასახადო კოდექსი“ ითვალისწინებს, რომლის განხილვაც პარლამენტში უკვე მიმდინარეობს.

**თეონა მანაგაძე**

გაუტიეს!

# მოდი და ნუ ჩაბჟირდები...



ლეიბორისტები ბიძინა ივანიშვილს შალვა ნათელაშვილის ლიკვიდაციის დაკვეთაში „ადანაშაულებენ“

**„ლეიბორისტული პარტია“ „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს შალვა ნათელაშვილის ლიკვიდაციის დაკვეთაში ადანაშაულებს. როგორც „ლეიბორისტების“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის დროს, შალვა ნათელაშვილის ლიკვიდაციის დაკვეთა ბიძინა ივანიშვილმა „თავდაცვის პრეზიდენტს“, მიხეილ სააკაშვილსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს დაავალა.**

„7 ნოემბერს სახალხო აქციების დარბევის შემდეგ, შეიარაღებულმა სპეცრაზმელებმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის ძებნის საბაბით დაარბიეს პარტიის ცენტრალური ოფისი, იმავდროულად — შალვა ნათელაშვილის ბინა თბილისში და სახლი სოფელ ზაზალეთში, — აღნიშნა მან.

გუგავას მტკიცებით, ნათელაშვილის მკვლელობა დაკავებისთანავე იყო დაგეგმილი, რაც ვერ განხორციელდა საქართველოში აშშ-ის მაშინდელი ელჩის ჯონ ტეფტის ჩარევის წყალობით.

„ოლიგარქ-კრიმინალმა ივანიშვილმა გუშინ, გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში მოახდინა საუკუნის აღიარება პოლიტიკურ ტერორიზმზე და დაადასტურა, რომ მერაბიშვილ-სააკაშვილს სწორედ მან შეუკვეთა მაშინ ნათელაშვილის მკვლელობა“, — განაცხადა გუგავამ.

ლეიბორისტების ინფორმაციით, „ივანიშვილს შეკვეთილი აქვს სხვა მკვლელობებიც“. გიორგი გუგავას განცხადებით, პარტიაში არსებობს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების მტკიცებულებები და ვიდეომასალა, რომელსაც ჟურნალისტებს დღეს გააცნობს.

**ინტერპრესნიუსი**

ვინ დაუშლის რა!

# პარლამენტს საზეიმო და საიუბილეო სხდომების გამართვის უფლება ენიჭება

**შესაბამისი ცვლილება, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილის ინიციატივით, პარლამენტის რეგლამენტში შედის. რეგლამენტს სპეციალური 130 პრიმა მუხლი ემატება, რომელიც ასეთი სხდომის გამართვას არეგულირებს.**

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოში საპატიო სტუმრის ჩამოსვლასთან, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნასთან ან ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით, შეიძლება გაიმართოს პარლამენტის საზეიმო და/ან საიუბილეო სხდომა.

ასეთი სხდომა შეიძლება მიეძღვნას კონკრეტულ მნიშვნელოვან თარიღს თუ ფაქტს. ასევე, შეიძლება ჰქონდეს სიმბოლური დატვირთვა და მისი მიმდინარეობისას არ გავრცელდება რეგლამენტით დადგენილი ზოგადი ნორმები. ზოგადი ნორმებიდან მხოლოდ სხდომის თავმჯდომარისთვის სხდომის წარმართვისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება იქნება სავალდებულო.

ცნობილია, რომ პარლამენტი 26 მაისს ქუთაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სხდომის გამართვას გეგმავს. თუმცა, პარლამენტს საიუბილეო სხდომის გამართვა რეგლამენტით არ შეეძლო.

ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზის აღჭურვა ისე, რომ რეგლამენტის პროცედურები იყოს დაცული, ვერ ესწრება. პროექტით კი დგინდება, რომ საზეიმო სხდომაზე ასეთი პროცედურების დაცვა არ იქნება სავალდებულო.

რეგლამენტში ცვლილებების პროექტის განხილვა პარლამენტს ჯერ არ დაუწყია.

**ინტერპრესნიუსი**

ბაზარი

# ავტომობილები იაფდება, თუმცაღა, მაინც ცოტა იყიდება...

**საწვავზე ფასების განუხრელმა ზრდამ და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობამ ავტომობილების გაყიდვების მაჩვენებელი მკვეთრად შეამცირა. გარდა ამისა, გაიაფებულია მეორადი მანქანები, თუმცა ამას ავტობაზრის გამოცოცხლებისათვის დადებითი შედეგი არ მოუტანია.**

**საქართველოში იქმნება კაზუსური სიტუაცია, როდესაც მანქანის შეძენა კი არ არის ფუფუნება, არამედ უკვე შეძენილ ავტომობილში საწვავის ჩასხმა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 600 ათასი მანქანა მოძრაობს, მათგან რეალურად „მოძრავი“ ნახევარზე ცოტა მეტი თუ იქნება. ფინანსური პრობლემების გამო, ადამიანები ავტომობილით გადაადგილებას ერიდებიან. ისინი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მგზავრობენ საკუთარი მანქანით. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონებში.**

სწორედ ფინანსური პრობლემებია მიზეზი იმისა, რომ ავტოაუქციონებზე გაყიდვები მკვეთრად შემცირებულია. აუქციონების წარმომადგენლები არ მალავენ, რომ თუ ადრე დღეში 25 ავტომობილის რეალიზაციას ახერხებდნენ, დღეს ეს მაჩვენებელი 2-3 ავტომობილამდეა შემცირებული.

განსაკუთრებული პრობლემა ზამთრის სეზონზე შეიქმნა, როდესაც ავტოდილერთა თქმით, კომპანიები დაიხურა კიდეც. მიზეზად მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შემცირება, საწვავის გაძვირება, ასევე იაპონიიდან და ამერიკიდან შემოყვანის ხარჯების ზრდა სახელდება.

რაც შეეხება ფასს, იმპორტიორთა უმეტესი ნაწილის განცხადებით, ფასები ზამთრის პერიოდიდან მოყოლებული სტაბილურობას ინარჩუნებს. ხოლო სამომავლოდ, მოქმედი კომპანიების ნაწილი ფასების შემცირებას ელოდება, ნაწილი კი — ზრდას.

მეორადი ავტომობილების იმპორტიორ კომპანია „სტრადა ავტოში“ ავტომობილებზე ფასები ზამთრის შემდეგ გაზაფხულის პერიოდშიც გაიაფდა. ფასების შემცირება ძირითადად იაპონიიდან იმპორტირებულ მანქანებზე —„მიცუბიში“, „ნისანი“, „ტოიოტა“ დაფიქსირდა.



როგორც კომპანიაში განაცხადეს, შესაძლოა ავტომობილები კვლავ გააიაფონ ბაზარზე დაბალი მოთხოვნის გამო.

„დღეისთვის მოთხოვნა შემცირებულია როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. უხლოეს მომავალში 100 ახალ ავტომობილს ველოდებით, იმედი გვაქვს, რომ სიტუაცია გამოსწორდება. თუ მოთხოვნა გაიზრდება, შესაძლოა, ფასები მცირედით გაიზარდოს“, — ამბობენ „სტრადა ავტოში“.

„მეგა ავტოს“ ხელმძღვანელის ვანო ველთაურის განცხადებით კი, ბოლო თვეების განმავლობაში ავტომობილებზე ფასს სტაბილურად ინარჩუნებენ. მისი თქმით, ბოლო პერიოდში მოთხოვნა გაიზარდა და შესაბამისად ფასებიც.

„ზამთრის პერიოდში გარკვეული ცვლილებები იყო, რაც ავტომანქანებზე მოთხოვნის შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა,იმავე პერიოდისთვის იაპონურ, ევროპულ და ამერიკულ მანქანებზე თანაბრად მოხდა ფასების ვარდნა. დღეისთვის, ქართულ ბაზარზე მოთხოვნა შედარებით გაზრდილია. ფასებმაც გარკვეულად მოიმატა,თუმცა, ძველ ნიშნულს ჯერ ვერ დაუბრუნდა.

„შესაძლოა, ზაფხულის პერიოდში ავტომანქანებზე ფასები შემცირდეს, რადგან იაპონიაში გაზაფხულობით ყოველთვის იაფდება მანქანები. მოსალოდნელია, ევროპული მანქანების გაიაფებაც. ამდენად, თუ საქართველოში მოთხოვნა გაიზრდება, იმპორტიორები გააქტიურდებიან, ქართულ ბაზარზე კვლავ ჭარბი პროდუქცია შეიქმნება, რამაც შეიძლება ფასის შემცირება გამოიწვიოს“, — ამბობს ვანო ველთაური.

**ეკა ბაქრაძე**

### სულის ტკივილი

**წინწკლებში მოქცეული სიტყვებიდან პირველი, თურმე ესპანური ყოფილა და „ჩემს ოცნებას“ ნიშნავს. ხოლო მეორე— „ვაშინერს“ — აკრძალვას, უკადრებელს, მიუღებელს და სხვა ამნაირებს, ყველაფერს ერთად გულისხმობს. ანუ, „ვაშინერს“ იმ ტაბუს ნიშნავს, რაც მხოლოდ ზნეობა-მორალიდან მომდინარეობს და ამიტომ ამ სიტყვის თარგმნა, გნებავთ შინაარსობრივი აღქმა აღმქმელი სუბიექტის ზნეობრივ-მორალურ დონეზეა დამოკიდებული**

ამას წინათ ვაკიდან ვერამდე გზას მარტო გავუყევი. მივსეირნობდი ჩემი მშობლიური ქალაქის ქუჩაში და ჩვენი უზნეო-ამორალური ხელისუფლების მიერ ჩადენილი იმდენი „ვაშინერს“ დავითვალე, რომ მელიქიშვილის გამზირზე უკვე სათვალავი ამერია. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს უცხო რამ ადგილას მოვხვდი — ვიღაცის უკეთურ მარჯვენას ან ერთიანად აღეგავა პირისაგან მიწისა, ან ისე შეეცვალა ყველაფერი, ის, რაც ჩემი ჯეელობის დროინდელ თბილისთან ასოცირდებოდა, რომ...

აღარსად ჩანდა ცნობილი კაფე-საშაქარლამო „ფრანცია“, სადაც იაფად დააგემოვნებდი გემრიელ ნამცხვარსა თუ ფინჯან ყავას და რაც ყველაზე მთავარია, „ფრანცია“ ახალგაზრდობის საყვარელი „ზაველენიე“, გნებავთ შეყვარებულ წყვილთა (მაშინდელ „ბნელ“ თბილისში, როგორც წესი და გამონაკლისების გარეშე, შეყვარებულები მხოლოდ საპირისპირო სქესისანი იყვნენძ) საპაემანო ადგილიც იყო.

აგერ, უნივერსიტეტის გადმოღმა მხარეს მდგარი ე.წ. „ავრორას“, თავის დროზე პრესტიჟული საცხოვრებელი კორპუსიც. მაგრამ აღარსად არის მის ქვეშ განთავსებული ჯერ გასტრონომი და შემდეგ უკვე ოფიციალურადაც „ავრორად“ წოდებული დიდი სუპერმარკეტი, რომელიც მთელი ვერა-ვაკის მოსახლეობისთვის მთავარი სავაჭრო მაღაზია იყო — მისი ფართი სხვადასხვა უცხოურ „ბრენდებს“ დაუნაწილებიათ.

აი, თავად დედაუნივერსტეტი, რომლის კარებთანაც ერთადერთ „დარაჯად“ 30-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის 40 წელიწადი, ჩემი დიდპაპა, ყველასათვის საყვარელი ძია მოსე იჯდა და მაშინდელ სტუდენტებს სტუდბილეთებს უმოწმებდა. პარალელურად, ეს ქიზიყელი გლეხკაცი უნივერსტეტის ბაღის ნარგავებს უვლიდა.

უნივერსტეტი, ცოდნისა და ზნეობის თეთრად აფეთქილი ტაძარი, რომელთან ჩავლისას მოწიწების ნიშნად ქუდს იხდიდნენ მაშინდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ხოლო იმ თაობის „აცვენილი ბიჭები“ ლაზღანდარობას წყვეტდნენ... ჯერჯერობით შენობა არ დაუნგრევიათ და არც გაუყიდიათ, მაგრამ ღვაწლმოსილი პროფესურა კი გამოაძევეს პატრულის ძალით, ძია მოსეს ნაცვლად კი „კუდი“ და „სოდი“ „დარაჯობენ“ ოდესღაც უპირველესი „ალმა მატერის“ შესასვლელ-გამოსასვლელებს...

და აჰა, „სულ ცოტა დარჩა ვერამდე, ვერაზე სიკვდილიც ღირს“ — ჩემი საყვარელი ვერაც გამოჩნდა. უბანი, სადაც დავიბადე, გავიზარდე და აღვიზარდე, ანუ სადაც ვეზიარე კაცობის პირველ ანა-ბანას...

ვარაზის ხევში, ვერა-ვაკეს საზღვარზე არსებულ სკვერში, უკრაინელების რუსთაველი, მართლაც „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“-სავით დაზრძანებულა. ტარას შევჩენკო, რომელსაც არაფერს ვერჩი, მაგრამ იმდენად უადგილოდ, კონტექსტიდან ამოვარდნილია მისი ძეგლი, რომ ფრუნზიკა მკრტიჩიანის — „кто этот пострадавший, что он хочет?“ მახსენდება. ცოტა იქით კი, ერთ დროს ქართული ჩაის სახლი, რომელიც დიდი ხანია „გამოშიგნეს“ და მის მაგივრად ტოტალიზატორ-კაზინო, ანუ, როგორც მისმა უწმინდესობამ უწოდა ეს სააღდგომო ეპისტოლეში, „ცოდვის სახლი“ გაუმართავთ.

იქვე, მელიქიშვილის გაყოლებაზე კი, სადალაქო და ქემერტელიძის ცნობილი აფთიაქი იყო, მაგრამ აღარც ერთია და აღარც მეორე. იმ საპარიკმახეროში წამიყვანა პირველად მამაჩემმა თავის ნაცნობ, სომეხ დალაქთან, რომელმაც სავარძლის ასამაღლებლად სპეციალური ფიცარი დამიდო და მაშინ გამკრიჭეს პატარა ბავშვი პირველი „პოლზოქსით“ (მაშინ ნანეტ-მანეტები არ იყო: „ბოქსი, პოლბოქსი“ და ჰა, ჰა, „იოჟიკი“, ეგ იყო და ეგ, შახალას „საბავშვო რეპერტუარი“ძ და შემდეგ უკვე „დაკაცებულმა“ პირველი ღინღლიც იმ დალაქთან გავიპარსე.

თუმცა სხვა რამის გამო უფრო მექვირფასეზა ეს ყველაფერი — იმ აფთიაქ-სადალაქოსთან „აბირჟავებდნენ“ ჩვენი მამების თაობის ვერელი „ქუჩის ბიჭები“, ქუჩის დაუწერელი კანონებით ჭრიდნენ კაცურ სამართალს, რომელიც, იურიდიული (მით უმეტეს მიშნაცებისძ უსამართლობისგან განსხვავებით, მართლაც სამართალი იყო. მოგვიანებით თითქმის ყველა მათგანმა თქვა საკუთარი სათქმელი თავთავიანთ პროფესიებში: დოდო აბაშიძე თუ შოთა სალუქვაძე, გივი ძნელაძე, თენგიზ კეკელიძე თუ ჩვენი მიქელანჯელო — მერაბ ბერძენიშვილი...

# როცა ანგრევენ იმას, რისი დანგრევაც დაუშვებელია!

## ლაღიძის წყლების ნაცვლად – კოკა-კოლა და „მი სუენიო?“ ეს „ვაშინერს“, ბატონებო!



„სიმველისადმი გრძნობა, ჰატივი თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს“...

და მართლაც — „რომ იყო ქუჩის ბიჭი, ამასაც უნდა ნიჭი“... ეს უკვე შოთას ვაჟის, ტრაგიკულად აღსრულებული ჩემი სიყრმის მეგობრის, ანანია სალუქვაძის ლექსიდანაა...

დანარჩენები, ნიჭიერი „ქუჩის ბიჭები“ თქვენ ჩამოთვალეთ, ბებერო ვერელებო და არა მხოლოდ ვერელებო.

აგერ ჩემი მშობლიური, 51-ე საშულო სკოლაც, რომელიც ჩემს დროს გალაკტიონის სახელობისა იყო. ახლა კი, ამბობენ, სააკაშვილის პორტრეტებით არისო მოფენილი.

აი, ჩემი სვლაგეზის ბოლო წერტილი, შენობა „კომუნისტის“ რედაქციას რომ ეძახდნენ. საიდანაც ამ რამდენიმე წლის წინათ, ვან ბაიბურთის შვილის, გრიშკას ზონდერებმა, უპარდონოდ, მოტყუებით გამოგვყარეს და ახლა ისეა იავარქმნილი, რომ გული მოგიკვდება.

დარჩენილ გზას, ანუ, ზემელიდან ვიდრე თავისუფლების მოედნამდე, რომ იტყვიან, გონების თვალით მკითხველთან ერთად გავივლი: „ივერიის მაგივრად, „რედისონი“; დავით აღმაშენებლის ძეგლის მაგივრად „კამოს ველისაპეტი“; დანგრეული“ „იმელი“, რობიკო სტურუას დიდი შემოქმედების ნაცვლად, ღამის სტრიპტიზკლუბად, „ნიჭიერის“ ასპარეზად ქცეული, შეურაცხყოფილი რუსთაველის თეატრი; მარიოტად მონათლული სასტუმრო „თბილისი“ თუ ისევ უცხო სიტყვების რახარუხი — ახალი „ქორთიარდ მარიოტი“; აღარც რესპუბლიკის ნომერ პირველი აფთიაქი ქალაქის საკრებულოს ქვეშ და რესტორან „დარიალის“ მაგივრად, მაგთიკომის კლუბი...

და, აი მივადექით წინამდებარე წერილის შექმნის მთავარ მიზეზს — აღარსად არის ლაღიძის წყლები და იქვე სარდაფში აჭარული ხაჭაპური, რომლის მირთმევაც ლაღიძის განუმეორებელი წყლების გარეშე იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ იმ სარდაფსაც უბრალოდ „ლაღიძეს“ ვეძახდით — ეეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი კოლექტიური თუ ინდივიდიალური „შატალო“ დაგვიწყია „ლაღიძედან“...

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი „ვაშინერსებიდან“, ეს უკანასკნელი მაინც განსაკუთრებული მგონია. თავი დავანებოთ იმას, რომ მიტროფანე ლაღიძის ღვთაებრივ ვაჟინებთან შედარებით კოკა-კოლა, პეფსი-კოლა და სხვა ათასი სახის „კოლები“, რომლითაც ჩაანაცვლეს ლაღიძის წყლებიც და მისივე ლიმონათებიც, არა მხოლოდ ქიმიური შხამია, არამედ, კახურად თუ ვიტყვით, „შაშა და კოლაა“.

ნურც იმას ჩავაგდებთ სათვალავში, რომ რუსთაველზე არსებული „ლაღიძე“ ჩვენი მამა-პაპების საყვარელი ადგილი იყო. აგრეთვე იმასაც, რომ თეთრი და ძოწისფერი მარმარილო, რომლითაც მოპირკეთებული იყო ზემოთა და ქვემოთა დარბაზები, გასული საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, მრავალი და მრავალი სასიქადულო, ზოგჯერ გენიოსი ქართველის ნაფეხურებით იყო გაცვეთილი...

იმის მიუხედავად, რომ ზემოთ ხსენებული მაღალი კატეგორიებით აზროვნება, რბილად რომ ვთქვათ, უცხო და მიუღებელი რამ არის მიშნაცებისათვის, მაინც არ მეგონა, რომ მათშიც კი აღმოჩნდებოდა ვინმე, ვისაც ჯერ ტვინი ელრძობოდა და შემდეგ გასახმობი მარჯვენით „ლაღიძის წყლების“ გაუქმებას ხელს მოაწერდა, რადგანაც ქართლის დედის, გორგასლის ხოხბის, გოგირდის აბანოს თუ ფუნიკულიორის მსგავსად, „ლაღიძის წყლებიც“ თბილისის ერთ-ერთ სიმბოლოდ, სავიზიტო ბარათად იქცა — ყოველი თბილისელი, აქ ჩამოსულ უცხოელ სტუმარს, მამაპაპური ქართული პურმარილის შემდეგ, აუცილებლად მიიყვანდა ჭიქა „ლაღიძის“ დაგემოვნების რიტუალზე.

ამ 2 თუ 3 წლის წინათ, დიდი სიხარულით წავედი სპორტის სასახლის გვერდით, ე.წ. „მორკინალთან“ გახსნილი კაფეს პრეზენტაციაზე. არა, აჭარულ ხაჭაპურს ბევრგან აცხობენ ახლა, მაგრამ „შაშაკოლების“ რეკლამებით აჭრელებული თბილისის ფონზე, თვალს და გულს ახარებდა იმ კაფეზე დიდი ზომის წარწერა — „ლაღიძის წყლები“. იქამდეც კი, რომ მაშინ ამ ამბავზე სპეციალური წერილიც კი დავწერე, რადგანაც, მართალია ძველი და ტრადიციული რუსთაველიდან კი გამოაძევეს მიტროფანე ლაღიძე, მაგრამ სულ არარაობას, ცალუღელა ხარი ჯობია-მეთქი, ვფიქრობდი.

ამას წინათ კი, ხსენებულ კაფეს მივაკითხე და, პირკატა მეცა — ლაღიძის წყლების აბრის მაგივრად, კოკაკოლას ემბლემა იწონებდა თავს და იქვე ეწერა — „მი სუენიო“. ეს რაღა ოხრობაა-მეთქი ვკითხე ერთ მიმტანს — კაფეს მეპატრონე შეეცვალა, ესპანეთშია ნამყოფი (ზუსტად ასე მითხრა — **დ.მ.**ძ, ესპანურად კი „მი სუენიო“ ჩემი ოცნებააო, — მიპასუხა, ნირ და მადაწამხდარმა ესლა მივუგე — კიდევ კარგი, რომ ესპანეთშია ნამყოფი და არა სადმე სხვაგან ჯანდაბაში და უარესი ოხრობა არ მიაწერა-მეთქი. ჰოდა ახლა, ქუდი რომ შემიგდო, „მი სუენიოში“ შემსვლელი აღარ ვარ!

წინამდებარე წერილში მხოლოდ თბილისის ერთ პატარა მონაკვეთზე გავისეირნე თქვენთან ერთად, ჩემო მკითხველო, მაგრამ რამდენი ასეთი უკეთურობა აქვთ ჩადენილი მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგას ვინ მოთვლის?

მოკლედ, ესენი აშენებენ იმას, ნუ, რისი აშენებაც შეიძლება ან არ შეიძლება, მაგრამ ანგრევენ იმას, რისი დანგრევაც არ შეიძლება!!!

ეს კი ვაშინერს, ძამა, ვაშინერს...

**დავით მხეიძე**

### ინფორმაცია

## დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაცია სახალხო დამცველს უნდობლობას უცხადებს

**სამშენებლო** კომპანია „ცენტრპოინტის“ მიერ დაზარალებულებმა გუშინ, სახალხო დამცველის ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს, გიორგი ტუღუში დაინტერესდეს მათი განცხადებით, რომელიც სახალხო დამცველის აპარატს 23 თებერვალს გადასცეს და „ცენტრპოინტის“ მხრიდან მათი უფლებების დარღვევას ეხება.

როგორც ჟურნალისტებს ერთ-ერთმა დაზარებულმა, ადვოკატმა მარინა კორძაძემ განუცხადა, დაზარალებულებმა წერილობით მოახსენეს სახალხო დამცველს მათი კონსტიტუციური უფლებების მასობრივი დარღვევების შესახებ, მაგრამ ტუღუშმა ეს განცხადება „ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა“.

„სახალხო დამცველის სამსახურის პასუხი დაახლოებით ასეთი იყო, ეს ჩვენ არ გვეხება“, — განაცხადა მარინა კორძაძემ. მისივე თქმით, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება არის ერთ-ერთი მთავარი უფლება, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას, მით უფრო, თუ საქმე სოციალურად გაჭირვებულ ათასობით დაზარალებულს ეხება.

„ყველამ იცის, რომ დაზარალებულთა პრობლემების სახით ქვეყანაში შექმნილია სოციალური დაძაბულობის მწვავე დამატებითი კერები. მშენებლობის სფეროში განხორციელებული თაღლითური სქემები არის არა მხოლოდ დაზარალებულთა, არამედ საერთო საქვეყნო პრობლემა, რომელსაც სახალხო დამცველმა ყურადღება უნდა მიაქციოს. მის ყოველწლიურ მოხსენებაში კი ამ საკითხზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი“, — აღნიშნა ადვოკატმა.

კორძაძის განცხადებით, სახალხო დამცველს ორგანული კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“ ადამიანის უფლებების დაცვას პირდაპირ ავალდებულებს და მან წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ადამიანის უფლებათა ისეთ მასობრივ და უხეშ დარღვევებს, რასაც „ცენტრპოინტ ჯგუფი“, „დექსუსი“ და სასამართლო ხელისუფლება სჩადის.

**ინტერპრესი**



◉ ჯარი

# რას და როგორ ხმარდება საბიუჯეტო სახსრები?

**თავდაცვის სამინისტრო ძალიან დაბალკვალიფიციური ხალხის, არაპროფესიონალების ხელში აღმოჩნდა**

***საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 21 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში არმიამ ქვეყანასთან ერთად რთული გზა გაიარა. ქართველმა ჯარისკაცებმა სამშობლოსთვის თავგანწირვა არაერთხელ დაამტკიცეს.***

***სამხედროებს პროფესიული დღე პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ მიულოცა: „მათ ვუსურვებ, რომ, პრაქტიკულად, საკუთარი თავგანწირვისა და სიმამაცის ჩვენება ჩვენი ქვეყნის დასაცავად არასდროს დასჭირდეთ. თუმცა ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც — ვიცით და უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს მართლაც უმაღლეს დონეზე მომზადებული და მოტივირებული შეიარაღებული ძალები ჰყავს. ისინი ჩვენს ქვეყანას ყოველთვის დაიცავენ“.***

***მისი თქმით, ქართველი ხალხი ბოლო პერიოდში დიდი ცვლილებების მოწმეა — ყალიბდება ქართული სამხედრო ტექნიკური კომპლექსი, რაც 2-3 წლის წინათ, პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო:***

***მოკლედ, თუ ბაქრაძის სიტყვებს ვენდობით, მალე დანა-ჩანგლით ბრძოლა წარსულს ჩაბარდება, ხოლო თუ სააკაშვილის პათოსს გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, რომ საკუთარი წარმოების ფრთოსანი რაკეტები საქართველომ პლანეტის რომელიმე რეგიონში განათავსოს.***

***შეიარაღებულ ძალებში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს ირაკლი სესიაშვილს ვესაუბრებით.***



**— 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ რამდენად შეძლო არმიამ არსებული ხარვეზების გამოსწორება, ამ თვალსაზრისით სამინისტროში არსებულ ვითარებას როგორ შეაფასებთ?**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ თავდაცვის სამინისტრო ყველაზე ნაკლებად გამჭვირვალეა, ამიტომ ძნელია, რიგითმა მოქალაქეებმა, თუნდაც ექსპერტებმა გააკეთონ სრულყოფილი ანალიზი. ვხედავთ, რომ აგვისტოს ომის შემდეგ გარკვეული რეფორმები განხორციელდა; გაუქმდა საჰაერო და საზღვაო ძალები; გაერთიანებული შტაბი ფაქტობრივად აღარ არსებობს, რადგან მასში მხოლოდ სახმელეთო ჯარი შედის. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ სათავეში ჯერ დავით სიხარულიძე და მის შემდგომ ბაჩო ახალაია მოვიდა. თავდაცვის სამინისტრო ძალიან დაბალი კვალიფიკაციის მქონე ხალხის, არაპროფესიონალების ხელში აღმოჩნდა.

სამხედრო პოლიცია, რომელიც თავისი არსით სამხედრო სტრუქტურაა, ბაჩო ახალაიამ თავის დაქვემდებარებაში მოიქცია — გაერთიანებულ შტაბს გამოაცალა. ჯარზე კონტროლის, ჯარის სადამსჯელო მექანიზმად აქცია, რამაც, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე პერიოდში, ბაჩო ახალაიამ გარკვეული წმენდები ჩაატარა; რამდენიმე ასეული სამხედრო ოფიცერი სამსახურიდან დაითხოვეს. გაიზარდა წვევამდელთა რაოდენობა შეიარაღებულ ძალებში. ამ დროს, თავისთავად, საკონტრაქტო მოსამსახურეთა რიცხოვნობა მცირდება. როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო მოსამსახურეების გარკვეული დეფიციტი აქვს. ეს, უპირველესად, ალბათ არასწორი მმართველობის შედეგია. მეორე მხრივ, შეიარაღებულ ძალებში შექმნილი გარემო მოქალაქეებისთვის მიმზიდველი არ არის. გარკვეული დისკომფორტი რაც შეიარაღებულ ძალებშია, პროფესიონალი კადრების გადინებაზე აისახება.

**— თქვენ თავიდანვე გამჭვირვალობის დაბალ დონეზე გაამახვილეთ ყურადღება...**

— სულ რამდენიმე ხნის წინათ, სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე სახელმწიფო უწყებად აღიარეს. ბიუჯეტს სამოქალაქო საზოგადოება ფაქტობრივად არ აკონტროლებს. მაგალითისთვის, სამინისტროს ჰყავს ორი პროფესიული სპორტული გუნდი, მაშინ, როდესაც უწყებას ბოლო პერიოდში დაფინანსება შეუმცირდა და ყოველი თეთრი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას უნდა მოახმაროს.

სპორტის მიმართ პრეტენზიები არ მაქვს; პირიქით დიდი მოყვარული ვარ, თავად სპორტსმენი ვიყავი, მაგრამ არ შეიძლება თავდაცვის ბიუჯეტის ხარჯზე, სამინისტრომ ორი პროფესიული გუნდი შეინახოს. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან მსოფლიოში აპრობირებულია მოყვარული გუნდები, რომლებიც შეიარაღებული ძალების წევრებით კომპლექტდება. ამ შემთხვევაში კი, პროფესიული გუნდები ლეგიონერებთან ერთად სამინისტროს ძვირი სიამოვნება უჯდება.

ასეთივე ვითარებაა შსს-ში, რომელსაც რაგბის და კალათბურთის გუნდები ჰყავს. უსაფრთხოებისთვის აუცილებელი სახსრები ამ მიმართულებით გაედინება. გაურკვეველია, ამას სპორტის სამინისტრო რატომ არ აკეთებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ უპასუხისმგებლო ხელისუფლება ანგარიშვალდებულად არ თვლის თავს . ეს დარღვევაა და ამაზე პასუხი უნდა აგონ.

**— რაც შეეხება ახალი სამხედრო ტექნიკის წარმოებას...**

— სამინისტრომ იმ პროექტების დაფინანსება დაიწყო, რომელთა ფარგლებშიც საბრძოლო მანქანები, სხვადასხვა სამხედრო ტექნიკური საშუალებები გამოვიდა. ეს ძალიან კარგი და მისასალმებელია, თუ შესაბამისი გათვლაა, ანუ სახელმწიფო ამას რამდენად სწორად გამოიყენებს, რამდენად ეფექტურია ეს ტექნიკური საშუალებები და რამდენად მისაღებ ფასად ჯდება ეს ყოველივე. ყველაფერი თუ არ გაითვალა, შეიძლება მოკლევადიან პერსპექტივაში ეს მისაღები იყოს, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში კი მისი წარმოება სახელმწიფოსთვის არაეფექტური და არამომგებიანი აღმოჩნდეს.

სხვა საკითხია, რამდენად ხარისხიანია ეს საშუალებები. სამხედრო ტექნიკის გამოცდა წლობით მიმდინარეობს და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართება შეიარაღებაში. მაგრამ, ჯანდაბას — ამაზე თვალს დავხუჭავთ. მთავარია, კარგი, გამოსადეგი იყოს და ამ სახსრების დახარჯვა რაციონალურად მოხდეს. პრეზიდენტმა ამ იარაღის პრეზენტაციებზე თქვა, რეზერვისტებს ყუმბარმტყორცნები დავურიგოთო. ამ სფეროში ბევრი რომ არაფერი გაეგება, ეს ცნობილია, მაგრამ პირველ პირს ვიღაცამ ხომ უნდა განუმარტოს, თუ რაზე ილაპარაკოს. ასევე არასერიოზულია საუბარი იმაზე, რომ ჩვენ საექსპორტო ქვეყანა გავხდებით.

**ნიკა მეტრეველი**

◉ ინფორმაცია



## ჯვრის მონასტრის თემა საქართველოსა და ისრაელის მთავრობებს შორის განსახილველი საკითხი მართლაც არ არის

**ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა.**

**მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით წერილით მიმართა ისრაელის საგარეო უწყებას და მიიღო საპასუხო წერილი. როგორც ვაშაძემ აღნიშნა, თუ ქართულ მხარეს რაიმე დასჭირდა, კონსულტაცია, დახმარება ან რჩევა, ისრაელის მხარე მზად არის, დახმარება გაუწიოს ქართულ მხარეს.**

**„საქართველოსა და ისრაელის მთავრობას შორის ეს საკითხი მართლაც არ არის განსახილველი საგანი, რადგან იერუსალიმის პატრიარქი დამოუკიდებელი ერთეულია“, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.**

**მინისტრის თქმით, სხვა დეტალებზე უადგილო იქნებოდა კომენტარების გაკეთება ამ საკითხთან დაკავშირებით.**

**„მოლაპარაკებები პრეზიდენტის მითითებით დაიწყო და როდესაც პირველი შედეგები იქნება, საზოგადოებისთვის ამის შესახებ ცნობილი გახდება“, — აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.**

**ისრაელის ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა გუშინ განაცხადა, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის თემა საქართველოსა და საბერძნეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის უნდა გადაწყდეს და აღნიშნული საკითხი ისრაელის მთავრობასთან კავშირში არ არის.**

ინტერპრესი

◉ აურზაური „მაესტროს“ გამო

# საქართველო „მერსედესის“ ინვესტიციების გარეშე?!

**გამორიცხული არ არის, „მერსედესმა“ საქართველოში კაპიტალდაბანდების განხორციელება შეწყვიტოს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მსოფლიო გიგანტი და ავტომობილების ყველაზე ცნობილი ბრენდი თავის პროდუქციის ოფიციალურ დისტრიბუციას შეზღუდავს? ჯერჯერობით ყველაფერი გაურკვეველია. „გერმანელებს ძალიან ბევრი შეკითხვა უჩნდებათ, შეიძლება, ხმამაღლა ითქვას, რომ შოკში არიან“, — აცხადებენ შპს „აკას“ იურისტები. რაც შეეხება კომპანიის მთავარ მეწილეს მაკა ასათიანს, იგი საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებს.**

შპს „აკას“ ადვოკატის რონინ მიგრიაულის განცხადებით, შპს „აკას“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო, შესაძლოა, „მერსედესმა“ საქართველოში ინვესტირება შეწყვიტოს. **„მერსედესი“ ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია საქართველოს ბიუჯეტში, ის მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში და ამ საკითხის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო, შესაძლოა, მან ინვესტიციების განხორციელება შეწყვიტოს. გერმანელებს ძალიან ბევრი შეკითხვა უჩნდებათ, შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ შოკში არიან“,** — განაცხადა ადვოკატმა და განმარტა, რომ სასამართლო პროცესი სამართლებრივი ნორმების დარღვევით წარიმართა.

**„მინდა, კიდევ ერთ საკითხს შევეხო. დავით ძოწენიძის შპს „აკას“ პარტნიორად ცნობა 2012 წლიდან მოხდა, ამიტომ მას დივიდენდებზე მოთხოვნა უნდა განეხორციელებინა სწორედ ამ დროის შემდეგ წარმოებიდან მიღებული შემოსავლებიდან, ის კი ჩვენი გაანგარიშებით დივიდენდებს 2003 წლიდან ითხოვდა და სასამართლომ ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილა“,** — აღნიშნა მიგრიაულმა.

რაც შეეხება თითქმის მილიონი ლარით დაჯარიმებულ დიზაინერ მაკა ასათიას, იგი საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებს. ასათიანის ადვოკატის დიმიტრი გაბუნიას თქმით, ის ესაუბრა ასათიანს, რომელმაც თავის მხრივ განუცხადა, რომ მისი საქართველოში ვიზიტის შემთხვევაში, შესაძლოა, „შარს გადაეყაროს“, რასაც დიმიტრი გაბუნიაც ეთანხმება.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ ტელეკომპანია „მაესტრო“ მაკა ასათიანის პირადი ქონებით ფინანსდება და არა შპს „მერსედესის“ წილით. **„ასათიანი, რომ არა „მაესტრო“ ვერ იფუნქციებდა. კიწმარიშვილმა ვერ შეასრულა დავალება, მან არხი ვერ გათიშა“,** — აღნიშნა გაბუნიამ.

მისი აზრით, ბიზნესმენ და დიზაინერ მაკა ასათიანზე პოლიტიკური რევანში განხორციელდა. **„საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაია შოშიაშვილი იყო მიკერძოებული, სასამართლოს მოსამზადებელი დროის დანიშვნიდან 11 საათში, მან სასამართლო პროცესი დანიშნა.**

**სასამართლო პროცესზე მოხდა აბსოლუტური იგნორირება ადვოკატის უფლებების, პროცესი აშკარა მიკერძოებით ხორციელდებოდა. სასამართლო არ უნდა იყოს ინსტრუმენტი ადამიანის განსხვავებული აზრის დევნისა. აქედან გამომდინარე, ასათიანი არ აპირებს დაკისრებული ჯარიმის გადახდას. დავით ძოწენიძე არის მარიონეტი ვიღაცის ხელში, რომლებსაც სურს ასათიანის ბიზნესის ჩაძირვა“,** — განაცხადა ადვოკატმა.

**სასამართლოში სარჩელი დავით ძოწენიძემ შპს „აკას“ წინააღმდეგ შეიტანა, რომელიც „მერსედესის“ ერთადერთი დისტრიბუტორია საქართველოში. ძოწენიძე თვლის, რომ მას ეკუთვნის შპს „აკას“ 20%. ადვოკატების თქმით, არსებობს დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც 1998 წელს ძოწენიძემ აღიარა, რომ მას არ ექნებოდა პრეტენზია შპს „აკას“ წილზე. მაკა ასათიანს, მის დას და დედას კომპანიის 80% ეკუთვნის.**

გაბუნიას თქმით, მათ, შესაძლოა, მაღალ ინსტანციაში გასაჩივრება ვერ მოახერხონ და სასამართლომ დაუყოვნებლივი აღსრულება მოითხოვოს, რაც ასათიანის 80% დაკარგვას ნიშნავს.

**გიორგი ბექაური**



◉ შინ და გარეთ

# ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შედეგები

**პარლამენტში მომხდარი ინციდენტი ქართული საზოგადოებისთვის უცხო არ არის. 20 წლის განმავლობაში არაერთ მსგავს და უარეს ხელის ქნევასა და გინებას ჰქონდა ადგილი. ამ „ვაჟკაცობით“ ყველა მოწვევის პარლამენტი იპყრობდა სეირის მოყვარულთა ყურადღებას.**

ცხადია, არც ეს პარლამენტია გამონაკლისი. მასაც ისე, როგორც სხვა მოწვევის პარლამენტებს, თავისი ყოჩი ჰყავს – ბობოხიძის სახით. მრავალწლიანი საპარლამენტო „მოღვაწეობის“ განმავლობაში, როგორც იქნა ბობოხიძემ იპოვა თავისი თავი, ანუ საკუთარი დანიშნულება საპარლამენტო ცხოვრებაში – მანდატურობა შებრუნებით. საკმარისია დარბაზში ოდნავი დაძაბულობა და „მამაცი“ პარლამენტარი უმალ იქ არის – გამზადებული მუშტ-წიხლით და „სიტყვაკაზმული“ ლექსიკით.

ასე იყო ამჯერადაც, კოლეგა პარლამენტარ ბაღათურიას გამოსვლის დროს. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული ორატორს, რომ ბობოხიძე უშვერი სიტყვების ფრქვევით და მუშტების ქნევით ტრიბუნის წინ აღმოჩნდა. კიდევ კარგი, სხვა პარლამენტარებმა არ დაიშურეს გახურებულ მკლაურში მანდილის ჩაგდება, თორემ ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ბაღათურიასთან შებმა.

გახსოვთ ალბათ, ქვანიას პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა, ნაცთა უმრავლესობის დღევანდელმა ლიდერმა, კოლეგას ლამის თვალი ამოუგდო.

საბრძოლო ბატალიები სხვა პარლამენტებისთვისაც არის დამახასიათებელი. ამ მხრივ რეკორდებს ამყარებს „დემოკრატიული“ უკრაინა. ტრიბუნისკენ მისასვლელის გადაკეტვა ოპოზიციის მთავარი მონაპოვარია.

ასე, რომ, პარლამენტის სხდომის დროს ჩხუბი არაჩვეულებრივი მოვლენა სულაც არ არის. არაჩვეულებრივი მაშინ იქნებოდა, ეს რომ არ ყოფილიყო. მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, თუ რით არის ჩხუბი გამოწვეული. მართალია, ნაციონალებზე უფრო ნაციონალმა, ედპ-ს წარმომადგენელმა ჩახვაძემ ბაღათურიას პროვოკატორი უწოდა, მაგრამ ამით არც ნამდვილი პროვოკატორის ვინაობა გამომჟღავნებულა და არც პრობლემა მოგვარებულა. პირიქით, მან კიდევ უფრო გააშიშვლა ხელისუფლების არაკომპეტენტურობა, დასავლეთისადმი მონური მორჩილება და აქედან გამომდინარე სადღეისო და სახვალიო პრობლემები.

როგორც ამბობენ, ბაღათურია კარგა ხანს ემზადებოდა იმის სათქმელად, რაც თქვა. და რახან ბაღათურია სათქმელად „რაზგონს“ იღებდა, მმართველი პარტია გულზე ხელებს ხომ არ დაიკრეფდა? მანაც მიხედა თავს - დაიჭირა რა თადარიგი. ანუ დროულად შეამზადა სტატისტიკისთვის ნაცთა რიგებში მყოფი აზერბაიჯანელი დეპუტატი, თანაც ცივი იარაღითაც – „ვაზელინით“ შეაიარაღა და დამოძღვრა, რაც არ უნდა თქვას ბაღათურიამ, შენ „აღშფოთება“ უნდა გამოავლინოო.

ამ დავალებას დეპუტატმა წარმატებით გაართვა თავი. უფრო მეტიც: ვაზელინით შეიარაღებული აზერბაიჯანელი სტუდენტობა მიაყენა პარლამენტის კარს, ანტიბაღათურიული შეძახილებით.

**არადა ის, რაც ბაღათურიამ თქვა, სულაც არ იყო ანტითურქული ანუ ანტიაზერბაიჯანული. ის უფრო ნიშნის მოგებით იყო ნათქვამი – ჩერქეზთა გენოციდის აღიარების დროს ხომ გეუბნებოდით სომხების სურვილის ინსპირირება მოხდებოდაო. და მან თქვა, როგორ მიაკითხა პარლამენტს სომეხთა სოლიდურმა წარმომადგენლობამ მოთხოვნით, თუ ჩერქეზების გენოციდი აღიარეთ, ჩვენ რაღა დავაშავეთო.**



პარლამენტში აგიზგიზებული პატარა კოცონი უმალ ჩაქრა, მაგრამ მან ისეთი ნაკვერჩხლები დატოვა, დღეს თუ არა ხვალ უდავოდ გამოიწვევს ერთაშორის დაპირისპირებას. და რომ ეს ასე იქნება, ამაში ეჭვის შეტანა ჭირს. ჭირს იმის დაჯერებაც, რომ უკვე ცეცხლში გადასულ პრობლემას პარლამენტის თავმჯდომარის მონოტონური დუდუნით ეშველება.

**ჩახვაძემ ზუსტად შეარჩია სიტყვა „პროვოკატორი“, მაგრამ ადრესატი შეეშალა. ასეთად იმთავითვე არა პიროვნება, არამედ პიროვნებათა ჯგუფი მოიაზრებოდა. და არა მარტო ჯგუფი, არამედ მის უკან მდგომი გარკვეული ძალები და ქვეყანა. სწორედ მათ შეუწყვეს ხელი ჩერქეზთა გენოციდის თემის წამოწევას, სამეცნიერო დონეზე შესწავლა-დამუშავებას და ამ საქმეში ქართული ბედოვლათების ჩართვას.**

ჩერქეზთა საკითხით არაერთი დასავლური ინსტიტუტია დაკავებული, მათ შორის აშშ-ის ჯეიმსთაუნის უნივერსიტეტი, რომელიც საშურ ენერგიას აფრქვევს ანტირუსული საქმის ასაგორებლად. გასულ წელს ისე, როგორც წინა წლებში, უნივერსიტეტმა არაერთი ერთობლივი კონფერენცია მოაწყო საქართველოში.

გახსოვთ ალბათ, კონფერენციაში მონაწილე ქართველი მეცნიერების „პატრიოტული“, „ინტერნაციონალისტური“ გამოსვლა-განცხადებები, ქართველ ნაცპარლამენტართა „ამაღელვებელი“ სიტყვები, ჩერქეზთა დიასპორის წარმომადგენლების მიპატიჟება პარლამენტის სხდომაზე და სხვა. გახსოვთ, ზოგიერთი საღად მოაზროვნის ნათქვამიც: ჩერქეზთა გენოციდის აღიარება უდავოდ გამოიწვევს ანალოგიურისათვის სომეხთა მოთხოვნასო. მაგრამ არა! აშშ-ში დაგეგმილ ღონისძიებას რას უზამდა ხელისუფლება?

**ასე რომ, ბაღათურიასთვის ნასროლი ვაზელინი ჯერ ნაცებმა გამოსცადეს საკუთარ თავზე. ბაღათურიას ნათქვამს სულაც არ უნდა გაეღიზიანებინა აზერბაიჯანელი დეპუტატი, მაგრამ „გაღიზიანება“ ნაცთა პროვოკაციის შემადგენელი ნაწილი იყო, მიმართული ბაღათურიას მსგავსად მოაზროვნეთათვის.**

ამ ინციდენტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში ბაქრაძემ, გიორგი თარგამაძემ, სხვებმა ჭკუა დაგვარიგეს, რომ დაუფიქრებელ განცხადებას შეიძლება სერიოზული გართულება მოჰყვეს და ამდენად, ვიდრე პირს დავაღებთ, უნდა დავფიქრდეთო.

თუ დაუფიქრებული სიტყვის თქმას ცუდი შედეგის მოტანა შეუძლია, გაცილებით უარესის – მოქმედებას. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება სწორედ ასეთ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს.

სომეხთა თხოვნა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით, ცხადია, არ არის სახელმწიფოს თხოვნა, მაგრამ ვინ განჭვრეტს, რა იქნება მომავალში?

საქართველო სწორედ ის ადგილია, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობს ორივე ერის წარმომადგენელი. ჯერჯერობით მათ შორის ადგილი არ ჰქონია სერიოზულ დაპირისპირებას და უნდა ვიმედოვნოთ, რომ არც მომავალში ექნება, მაგრამ ამისგან დაზღვეული არ ვართ.

სომეხთა და აზერბაიჯანელთა, სომეხთა და თურქთა ურთიერთობა რომ საკმაოდ დაძაბულია, ყველას კარგად მოეხსენება. ყარაბაღის მოუგვარებელი საკითხი, სომეხთა მიერ აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიები, თურქულ-სომხური დაუძლეველი პრობლემა გენოციდთან დაკავშირებით და სხვა, აშკარა მანიშნებელია იმისა, თუ რა ფეთქებადსაშიშ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ყოველივე ამას ემატება ქართულ საზოგადოებაში აზიზის მეჩეთის მშენებლობით გაჩენილი სერიოზული ვნებათაღელვა, ანტირუსული სახელისუფლებო ისტერია, აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები და უდავოდ მივიღებთ იმ უმწარეს კოქტეილს, რომლის დალევაც არცთუ სასიამოვნოა.

ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს აქვს დასაწყისი, მაგრამ არ ჩანს დასასრული. ამ პრობლემათა გარკვეული ნაწილი ჩვენი დაუფიქრებელი პოლიტიკის შედეგია და მათი გადაჭრის გზებიც ისევე ჩახერგილია, როგორც მთიანი ყარაბაღის.

**ნაცვლად იმისა, რომ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს ვეძებდეთ, პირიქით ვართულებთ საქმეს. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ამის ნათელი დასტურია. მიჭირს გავიხსენო ისეთი ქვეყანა, ვინც მსგავსი ნაბიჯი გადადგა. როგორც ჩანს, სტრატეგიული პარტნიორი მრავალჯერ შეგვაწუხებს შორსმიმავალი მზაკვრული პროექტებით. მაგრამ ჩვენი შეწუხება რაა სახელმწიფოს შეწუხებასთან. ერთმა ასეთმა შეწუხებამ მას საკუთარი ნაწილის 20% ჩამოაჭრა. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, მან პრეზიდენტ სააკაშვილისათვის განკუთვნილი ეპითეტი გაიზიაროს – „ცარიელი ადგილი“.**

თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური საკითხები მეტად გადახლართულია და ხშირად სხვისთვის ნასროლი ისარი უკან ბრუნდება ისე, როგორც ჩერქეზთა გენოციდის აღიარება. ამერიკელებმა კი გვასროლინეს შხამიანი ისარი რუსეთის მიმართულებით, მაგრამ, ვშიშობ, ეს ისარი ჩვენ არ დაგვიბრუნდეს.

**საინტერესოა, როდესაც ჯეიმსთაუნის უნივერსიტეტის ბაზაზე ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხი მუშავდებოდა, არ ფიქრობდნენ სომხებით და აზერბაიჯანელებით დასახლებულ საქართველოში ეს თემა კონფლიქტის თუ არა, სერიოზული უკმაყოფილების გამოწვევის საბაბი გახდებოდა? იქნებ ფიქრობდნენ და სწორედ ამიტომაც ამოირჩიეს საქართველო?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◉ ექსპერტთა თვალთახედვით...

# ფული, რომელიც ყარს და რომელიც სურნელს აფრქვევს

**მას შემდეგ, რაც პუტინი კვლავ რუსეთის პრეზიდენტი გახდა, საქართველოს ხელისუფლება რუს ბიზნესმენებსა და ტურისტებს საქართველოში ეპატიჟება.**

სააკაშვილის ხელისუფლებას არც არასდროს უთქვამს გულწრფელად, რომ რუსული კაპიტალი ცუდია, ეს არც ხელისუფლების ქმედებიდან გვიგრძვნია, 2008 წლის აგვისტოს ომი დასრულდა თუ არა, ქართული ენერგეტიკის მთავარი მამოძრავებელი ძარღვი, „ენგურჰესი“ რუსეთს გადაეცა. ასევე რუსული კომპანია აკონტროლებს ქართულ წყალსაც და კიდევ სხვა მრავალ მნიშვნელოვან სფეროს. თუმცა „ნაციონალური მოძრაობა“ მთელი ამ დროის განმავლობაში, როცა კომპანიების გასხვისება ხდებოდა, რუსეთს საქართველოს მტერს ეძახდა.

ქართული კომპანიების ამ დაუძინებელი მტრის ხელში გადასვლა კი სხვადასხვა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ფირმების მეშვეობით ხდებოდა. საქართველოს ხელისუფლება დღემდე გვიმალავდა, რომ რეალურად, რუსული კომპანიების ქართულ ბაზარზე შემოყვანას მხარს უჭერდა, ბოლო დროს კი არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი, არამედ მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ „დამრტყმელი ძალა“ რუსული ინვესტიციის ხიბლზე ალაპარაკდა.

შსს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა კიდეც, რომ „ფულს სუნი არ აქვს“ და მისთვის ნებისმიერი კაპიტალი და ინვესტიცია მისასალმებელია. ეს განცხადება მერაბიშვილმა პარლამენტში სამთავრობო საათზე გამოსვლისას გააკეთა.

**„საქართველოში ენერგეტიკის დარგში ძალიან დიდი ინვესტიციები იგეგმება. „ვითიბი-ბანკი“, „რაო-ე-ესი“ აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ. ნებისმიერი ადამიანი, რა წარსულიც არ უნდა ჰქონდეს მას, მივესალმები, თუ ის ჩაერთვება იმ საქმეში, რომელიც საქართველოს ინტერესებს შეესაბამება“,** – განაცხადა მერაბიშვილმა.

მოგვიანებით მერაბიშვილს მხარი იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმაც აუბა. მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობისათვის რუსულ ფულს ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში სხვადასხვა დატვირთვა აქვს.

როგორც კუბლაშვილი განმარტავს, რუსეთიდან ქართულ პოლიტიკაში შემოდინებული ფინანსები საფრთხეს უქმნის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი პოლიტიკური ძალა პირდაპირ რუსეთიდან ფინანსდება, ზოგს კი რუსეთში დატოვებული, გარკვეული კაპიტალის გამო უწევს პროცესებში ჩაბმა.

კუბლაშვილმა ამგვარ ქმედებებში ნინო ბურჯანაძეს დასდო ბრალი და ბიძინა ივანიშვილსაც გადასწვდა.

**„თუმცა არის ისეთი ხალხიც, ვინც რუსეთში თვითონ არ ჩადის, მაგრამ საკმაოდ დიდი კაპიტალი აქვთ იქ და თუ კრემლის მიერ მოცემულ დავალებას არ შეასრულებენ, მათი ფინანსური მდგომარეობა რისკის ქვეშ დადგება, ასეთია მაგალითად ბიძინა ივანიშვილი. ამ შემთხვევაში, მთავარია, საზოგადოება იყოს ინფორმირებული ყველანაირი დაფინანსების წყაროს შესახებ“,** – განაცხადა კუბლაშვილმა.

იხ. 6 გვ.

◉ ინფორმაცია



## კუკავას პარტიაში ალაზნის ჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის მასივის გაჩეხვაზე საუბრობენ

„თავისუფალი საქართველოს„ ინფორმაციით, ახმეტის რაიონის ალაზნის ჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის მასივი მასობრივად ნადგურდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის ახმეტის რაიონული ორგანიზაციიდან აცნობეს, ტყეს უმოწყალოდ ჩეხავენ, რასაც სატყეო მეურნეობის სარეინჯერო სამსახური რეაგირების გარეშე ტოვებს.

ინტერპრესი

## ექსპერტთა თვალთახედვით...

(მეოთხე გვერდიდან) კუბლაშვილი მიიჩნევს, რომ როდესაც რუსული კაპიტალი სხვადასხვა ფორმით ქართულ ბიზნესში ჩაედინება, ეს ცუდი არაა და რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოს როგორც ტურისტები ესტუმრონ.

**„ეკონომიკა და პოლიტიკა უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან. ერთია, როდესაც საწარმო სრულად რუსეთის სახელმწიფოს ეკუთვნის და კონკრეტული ბიზნესვალდებულებები აქვს შესასრულებელი, ხოლო როდესაც რუსული ფული პოლიტიკაში იდება, მის სანაცვლოდ მოსკოვმა შეიძლება საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრება მოითხოვოს“,** — განაცხადა კუბლაშვილმა.

ექსპერტი დავით ეზრალიძე ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რუსული კომპანიები საქართველოში საკმაოდ მძლავრად არიან წარმოდგენილი, ყველაზე მარტივია, რომ ის ფული, რომელიც ამ კომპანიებში ბრუნავს, გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის მიმართო და თვითონ ამ კომპანიაში დასაქმებული ადამიანებიც ბევრად უფრო ლოიალურები იქნებიან რუსული ძალის მიმართ.

**„ეს კომპანიები და მათი სახსრები შეიძლება იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის, ისე,როგორც ჩვენი ხელისუფლება იყენებს ბევრი კომპანიის რესურსს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რუსული კომპანიებიც ასე შეიძლება იყოს გამოყენებული“,** — აცხადებს ეზრალიძე და დასძეს, რომ

რუსული კომპანიები იმიტომ შემოდის, რომ სხვა, უკეთესი არჩევანი არ გვაქვს, მაგრამ თუ სხვა მიზნები და ამოცანები ექნება მათ ფულს, მაშინ ეს პრობლემაა.

თუ მართლაც თვალის დახუჭვა უწევს, ცოტა რთული ასახსნელია, რატომ მალავს ხელისუფლება, რომ უამრავ ქართულ კომპანიაში თითქოს ევროპული ინვესტიციის სახელით სწორედ რუსული კომპანიაა შემოსული.

ეზრალიძე ვარაუდობს, რომ რაკი საქართველოს ხელისუფლებას თვალის დახუჭვა უწევს, ის ერიდება აღიაროს, რომ სწორედ რუსულ კომპანიას მიჰყიდა ქართული კაპიტალი და საკუთარი ქმედების გასამართლებლად, ხან ოფშორულ ზონაში, ხანაც ევროპაში დარეგისტრირებულ კომპანიებს იშველიებს.

ექსპერტი ლადო პაპავა მიჩნევს, რომ რუსული ფული, რომელიც ქართულ ეკონომიკაში შემოდის, მხოლოდ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარეობს, „ალბათ, მკითხველისთვის უკვე კარგად არის ცნობილი კონცეფცია ლიბერალური იმპერიის შექმნის შესახებ, რომელსაც აგერ უკვე 9 წელიწადია ახორციელებს მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცეში. აქედან გამომდინარე, როდესაც შემოდის რუსული კაპიტალი, მისი მიზანია, ხელში ჩაიგდოს საკვანძო ობიექტები და შემდეგ მოიპოვოს ქვეყნის მმართველობაზე პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტები. ასე რომ, რუსულ ფულს აქვს საკმაოდ სერიოზული სუნი, ეს არის დამპყრობლის სუნი, რომელიც არც მალავს თუ რისთვის შემოდის, სხვათა შორის, არა მარტო საქართველოში“.

**„ზოგადად ფულს სუნი არა აქვს, მაგრამ დიდი ხიფათი და რისკები არსებობს, ასე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ პრობლემა არის ან არ არის. რისკები არსებობს და ის იზრდება“,** — მიიჩნევს ეზრალიძე.

სად არის გამყოფი, ქვეყანაში შემოსული ფული მხოლოდ ბიზნესს მოხმარდება, თუ ის

# ფული, რომელიც ყარს და რომელიც სურნელს აფრქვევს



სხვადასხვა საშუალებით პოლიტიკაშიც მოხვდება. ეზრალიძე ვარაუდობს, რომ ასეთ შემთხვევაში, როდესაც რუსული კომპანიები უხვად არის წარმოდგენილი, რუსეთს გაცილებით მეტი შესაძლებლობები ეძლევა, თუ მას სურს, რომ საკუთარი ფული პოლიტიკისკენ მიმართოს.

**„რაც შეეხება იმას, რომ როგორ უნდა გაიმიჯნოს რუსული ფული ცალკე ბიზნესში და ცალკე პოლიტიკაში, ასეთ რამეს თვითონ მოსკოვი არ მიჯნავს და ძალიან მაინტერესებს, როგორ ახერხებენ ამის გამიჯვნას ქართველი პოლიტიკოსები. თვითონ მოსკოვს აქვს ის მიდგომა, რომ ფულით უნდა ჩაიგდონ ხელში საკვანძო ობიექტები და შემდეგ მათი გამოყენებით მართონ ქვეყნის ხელმძღვანელობა და თუკი მოსკოვი ამას არ მალავს, ნეტავ როგორ ახდენს ამის რანგირებას ქართული პოლიტიკური ელიტა?“**

ექსპერტი გია ჯანდიერი ამბობს, რომ საქართველოს აქვს შესაბამისი ბერკეტები, როგორ შეაჩეროს თუ კერძო ინვესტიცია აპირებს, გარდაიქმნას პოლიტიკურ ფულად.

**„როგორც მახსოვს, ყველა გადარიცხვა, რომელიც 10 ათას დოლარს აღემატება, ექვემდებარება ფინანსური მონიტორინგის სფეროს და შესაძლებლობა, — რომ დაინახონ, როგორ მოძრაობს რუსული თუ სხვა ნებისმიერი ფული, — როგორც ჩანს, არსებობს. ამ მხრივ ჩვენ არ ვართ ორიგინალურები და მსგავსი მიდგომა არსებობს, თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში. არ მგონია, რომ რაღაც საოცრებასთან გვაქვს საქმე“,** — აცხადებს ჯანდიერი.

როგორც პავლე კუბლაშვილი ამბობს, მხოლოდ პოლიტიკაში მოხვედრილი რუსული ფული ყარს. კუბლაშვილს არც დაუმალავს, რომ ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის ფულს გულისხმობდა. თუმცა, ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას აშკარად პოლიტიკური განათლება არ ჰყოფნის, რადგან ეს ორი პრინციპულად განსხვავებული რამ არის. ერთია, რომ საკუთარი ბიზნესის მეშვეობით ფული იშოვო რუსეთში და მეორე, როდესაც ფულით შემოგყავს რუსული კომპანია.

**„პრაქტიკულად, ასე იოლად ჩააბარეს ქართული ჰიდროენერგეტიკა, ასე აქვთ ჩაბარებული ოქროსა და სპილენძის მოპოვება, საბანკო სექტორშიც გვყავს რუსული ბანკი. ეს ნიშნავს, რომ რუსული კომპანია შემოდის საკუთარი ინტერესებით. როდესაც შენ შოულობ ფულს რუსეთში, ეს სულ სხვა ცნებაა. რუსული კომპანია კი არ შემოდის, არამედ ინვესტიციას ახორციელებს ის, ვინც ეს ფული იშოვა. ეს თვისობრივად სულ სხვა რამ არის. თუ პოლიტიკოსები განსხვავებას ვერ ხედავენ „ინტერრაოს“, „პრომიშლენნიე ინვესტორის“, „ვითიბი ბანკის“ შემოსვლასა და რუსეთში ფულნაშოვნ კაცს შორის, როგორიცაა ბატონი ივანიშვილი, მაშინ მათ ძალიან სერიოზული პრობლემები აქვთ პოლიტიკურ განათლებასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ ეს ორი სხვადასხვა რამ არის და ყველა რიგით ქართველს შესანიშნავად ესმის, განსხვავება რუსეთში ფულის შოვნასა და რუსულ კომპანიას შორის“,** — ამბობს პაპავა.

გია ჯანდიერი პრობლემას უფრო მარტივად უყურებს, იგი მიიჩნევს, რომ როდესაც ბიზნესის ფულზეა ლაპარაკი, მის წარმოშობას არ აქვს მნიშვნელობა, თუ პოლიტიკურ ფულზეა ლაპარაკი, მაშინ ამას აქვს მნიშვნელობა.

**„მეც ვეთანხმები, რომ ბიზნესის ფული როგორი წარმოშობის იქნება, არა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ არ გვაქვს არც შესაძლებლობა და არც უფლება, დისკრიმინაცია გავუკეთოთ ვინმეს. როდესაც ლაპარაკია, რომ ვიღაც გარედან საქართველოს პოლიტიკის ყიდვას აპირებს, ცხადია, რომ ამისაგან თავი მინდა შევიკავოთ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაში და ჩვენ გვეხება“,** — მიიჩნევს ჯანდიერი.

თუ რუსეთი ჩვენი მტერია, როგორც დიდი ხანია ამას საქართველოს ხელისუფლება გვიმტკიცებს და პრინციპში, დასამტკიცებელიც არაფერია, რადგან რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაშინ ალოგიკურია, ჩვენი ხელისუფლება რომ აქტიურად ლაპარაკობს გამუდმებით რუსული ინვესტიციების მოზიდვაზე.

გია ჯანდიერი ამ ფაქტს ასეთ ახსნას უძებნის — **„კერძო ფულზე როდესაც არის ლაპარაკი, ჩვენ მას დისკრიმინაციას ვერ მოვუწყობთ, ბოლოს ნახეთ, რომ რუსეთის მოქალაქეებისათვის ვიზაც აღარ არის საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოქალაქეების რაღაც ნაწილში, შესაძლოა, საქართველოსთვის ხიფათის მქონე ადამიანებიც იყვნენ. რაც შეეხება იმას, რუსეთი მტერია თუ არა, მტრად შეიძლება ჩავთვალოთ, არსებული პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც მართავს დღეს რუსეთს, რომელიც აშკარა აგრესიით გამოირჩევა საქართველოს მიმართ და რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები. ასეთი მაგალითები მსოფლიოში არსებობს, როდესაც ქვეყნებს შორის პრობლემებია, მაგრამ ეკონომიკური კავშირები მაინც არსებობს. მე ვფიქრობ, საქართველოს მხრიდან ეს პოლიტიკა ძალზე გონივრულია. ამითი ვასაბუთებთ, რომ პრობლემა რუს ხალხთან კი არა, მის პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან გვაქვს, რომლებიც ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტი ფული დახარჯონ და მეტი იმოქმედონ იმისათვის, რომ თავიანთი გავლენის სფეროში მოგვაქციონ და საბჭოთა კავშირი აღადგინონ.**

**მსგავსი რამ ჩეხეთის რესპუბლიკაშიც მომისმენია, სადაც უშიშროების სამსახური მუშაობს იმ საკითხზე, რომ რუსეთის მხრიდან გავლენის ზრდა არ მოხდეს“,** — აცხადებს ჯანდიერი.

**მარიამ თოდაძე,**
Presage.tv

## პოზიცია

# სასა არა ჯობს, გაცლა ჯობსო...

**დიდი ხანია ცნობილია სააკაშვილის დამოკიდებულება საქართველოს დედაქალაქის მიმართ. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა თბილისში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ლევან გაჩეჩილაძესთან პირწმინდად წააგო, ბევრი ფიქრობს, რომ მას დედაქალაქი სძულს, თბილისელებისთვის ის არჩევნები ვერ უპატიებია.**

შესაძლოა, სწორედ ამიტომაც არის, რომ სააკაშვილი ყველანარიად ცდილობს დედაქალაქს ფუნქციები დაუკარგოს და მათი სხვადასხვა ქალაქებში გადანაწილება მოახდინოს. ამბობენ, რომ შესაძლოა, ამას უკავშირდება ქუთაისში პარლამენტის გადატანის გადაწყვეტილებაც. თუმცა არსებობს ვერსიაც, რომ ამის მიზეზი საზოგადოებრივი პროტესტის მიმართ სააკაშვილის პანიკური შიშია. ყველასათვის, მათ შორის სააკაშვილისთვისაც ცხადია, რომ რეგიონებში ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო მუხტი ისეთი მძაფრი არ არის, როგორც თბილისში. ამას, რა თქმა უნდა, რეგიონებში მხოლოდ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელეარხების მაუწყებლობაც განაპირობებს.

ასეა თუ ისე, სააკაშვილის ხელისუფლება აპირებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი ქუთაისში ჩაატაროს. დღეს კი ცნობილი ხდება, რომ შესაძლოა 6 მაისს პოლიციის აღლუმი გორში გაიმართოს. ამას მოწმობს ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ქალაქ გორში ტარდება. მაინც რატომ გაურბის ხელისუფლება დედაქალაქს და რატომ გეგმავს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებას რეგიონებში, ამ საკითხზე **presage.tv** რამდენიმე პოლიტიკოსს და ექსპერტს ესაუბრა.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ვიქტორ დოლიძე აცხადებს: **„თუ დააკვირდებით, ბოლო პერიოდში სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ქცევა იქნება, ლექსიკა თუ პოლიტიკური განცხადებები, ძალიან არაადეკვატურია. ისინი რაღაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ, ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნის გახანგრძლივებას გამოადგება, მაგრამ რეალურად ეს ყველაფერ უკურეაქციას იძლევა“.**

დოლიძის განცხადებით, **ასეთ გადაწყვეტილებებს განეკუთვნება ქუთაისში სამხედრო აღლუმის, ხოლო გორში პოლიციის აღლუმის ჩატარება. ვიქტორ დოლიძე არ ფიქრობს, რომ ეს გარკვეულ დივიდენდებს მოუტანს ხელისუფლებას და ხალხში დადებითი ემოციებს გამოიწვევს.**

უფრო მეტიც, პოლიტიკოსის თქმით, გამორიცხული არაა, სააკაშვილის მხრიდან ეს იყოს ძალის დემონსტრირება, მით უმეტეს, თუ ეს ეხება პოლიციის აღლუმს. აქვე დოლიძე საუბრობს, სააკაშვილის თბილისისადმი დამოკიდებულებაზე.

**„საერთოდ დედაქალაქის მიმართ პრეზიდენტის დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია, მას არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი ეს დამოკიდებულება. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც პარლამენტის ქუთაისში გადატანა. ბევრი საუბარი მიდის იმაზე, რომ თითქოს ქუთაისში ხალხმრავალი საპროტესტო აქციის ორგანიზება უფრო რთულია, იმდენი ადამიანი ვერ მოახერხებს იქ მისვლას და ა.შ. მინდა ყველას ვუთხრა - არავინ აპირებს იქ აქციების მოწყობას. უბრალოდ, სააკაშვილს აქვს დამფრთხალი, შეშინებული პოლიტიკოსის განწყობა. თვითონ პიროვნებაა მფრთხალი და ამიტომ ღებულობს ასეთ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მას ველარაფერი უშველის. გინდ გორში ჩაატაროს აღლუმი და გინდ ჩხოროწყუში“,** — აღნიშნავს ვიქტორ დოლიძე.

„ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი აცხადებს, **რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი არის პროტესტის შიში. რეგიონებში კი ხელისუფლება უფრო მშვიდად გრძნობს თავს, რადგან რეგიონში ხალხის მობილიზება უფრო რთულია.**

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას **არ ჰგონია, რომ აღლუმების თბილისიდან გატანა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, რადგან თბილისისთვის ეს დიდი მოვლენა არ არის. რეგიონებისთვის კი ასეთი ტიპის აქტივობები უფრო მნიშვნელოვანია. თავისთავად იმას, რომ რეგიონებზე სახელმწიფომ უფრო მეტი დატვირთვა მოახდინოს, ამას კუკავა მხოლოდ მხარს უჭერს, მაგრამ მიიჩნევს, რომ აღლუმები ნაკლებად სჭირდება რეგიონებს. იქ უფრო ეკონომიკური და სოციალური აქტივობებია განსახორციელებელი იმისთვის, რათა მოსახლეობას ცხოვრება შეუმსუბუქდეს.**

**„იმ აღლუმზე მიშა სააკაშვილმა უნდა იღრიალოს, რომ არსად ისეთი ლამაზი და ჭკვიანი ხალხი არ ცხოვრობს, როგორც გორში. ქუთაისში კი იღრიალებს, რომ არსად ისეთი ლამაზი და ჭკვიანი ხალხი არ ცხოვრობს, როგორც ქუთაისში. როგორც ჩანს, თბილისზე ამის წარმოთქმა ეუხერხულება, იმდენჯერ ჰყავს თბილისელები ნაგინები“,** — ამბობს კახა კუკავა.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ **პრეზიდენტიც და საერთოდ, ხელისუფლებაც ცდილობს დედაქალაქიდან ქუთაისში გადაიტანონ პარლამენტი, მთავრობა და საერთოდ მთელი პოლიტიკური ცხოვრება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ბაღათურიას თქმით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი არის ის, რომ თბილისის მოსახლეობა კარგად არის ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და იციან, რომ საქართველოს მართავს კრიმინალური ბანდა. სააკაშვილი კი არის ეიფორიული, ემოციური პიროვნება და ამიტომ მისთვის სერიოზული დისკომფორტია ამ პირობებში თბილისში აღლუმის ან რამე სხვა ღონისძიების ჩატარება. იგი ვერ იტანს თბილისს და ეს უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი. ამიტომ ურჩევნია ასეთი ღონისძიებები გამართოს იქ, სადაც ხალხის განწყობა ცოტა უფრო განსხვავებულია.**

უფლებადამცველი ეკა ბესელიას თქმით, **ცნობილი ფაქტია, სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას დედაქალაქის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება აქვთ. სააკაშვილი გრძნობს მის მიმართ თბილისელების ნეგატიურ დამოკიდებულებას, მართალია ამას არ იმჩნევს, მაგრამ ქვეცნობიერად ომს უცხადებს თბილისის მოსახლეობას. ამიტომ, იგი ცდილობს ასეთი ღონისძიების ორგანიზება მოახდინოს რეგიონებში.**

**სააკაშვილის თბილისისადმი დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას ასევე პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი. მისი თქმით, ხელისუფლებამ უკვე დიდი ხანია თბილისზე ხელი ჩაიქნია. სივრცე ქვეყნისა, სადაც მაუწყებლობს არა მხოლოდ ტელეკომპანია „იმედი“, არამედ დამოუკიდებელი მედიასაშუალებებიც, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე უკეთ არის ინფორმირებული. ცისკარიშვილის თქმით, ეს არ აძლევს ხელს ჩვენს ხელისუფლებას და ამიტომაც ის მიისწრაფვის რეგიონებისკენ, სადაც ამომრჩეველი უფრო მარტივად მოსაპოვებელია და ძალადობის ყველა ფაქტიც არ არის საჯაროდ აღიარებული.**

**რუსიკო უშიკიშვილი**

## აი, კანონმორჩილება!

# რატომ არ ასრულებენ ნაციონალები თავიანთ მიერვე მიღებულ კანონს?

### „ნაციონალური“ უფასო სასადილო ხობში ისევ გამოჩნდა

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ -2005 წლიდან ასეთი წარწერა ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა ქალაქის იმ ობიექტებს ამშვენებდა, სადაც მმართველმა პარტიამ „საქველმოქმედო“ პროექტის განხორციელება დაიწყო. 2012 წლის თებერვლის თვიდან „ნაციონალური“ აბრები უფასო სასადილოებიდან ერთბაშად გაქრა. შენობების შიგნით, კედლებზე მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო პლაკატი და შემოხაზული 5 ნომერი დარჩა.**

აბრების ჩამოხსნის შესახებ გადაწყვეტილება მმართველმა გუნდმა 2011 წლის დეკემბერში სისხლის სამართლის კოდექსში, საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებების შემდეგ მიიღო. ამ ცვლილებების მიხედვით კი პოლიტიკური სუბიექტის მიერ ნებისმიერი სახის ქველმოქმედება დასჯადი, ხოლო პოლიტიკური ნიშნით ამომრჩევლის მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია.

**მართალია, ნაციონალებმა ქველმოქმედება კანონით აიკრძალეს, თუმცა დიდი აურზაურით მიღებულ კანონს, როგორც გაირკვა, თავადვე არ ასრულებენ.**

ხობში არსებულ უფასო სასადილოს შესასვლელთან ძველი „ნაციონალური“ აბრა, მცირეოდენი ცვლილებით, რამდენიმე დღის წინათ ისევ გამოჩნდა. „ქველმოქმედებს“ წარწერისთვის ამჯერად „სათნოების სახლი“ დაუმატებიათ.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად კანონიერია ადგილობრივი მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტის განხორციელებისას მმართველი პოლიტიკური პარტიის სახელწოდების მოხსენიება, უფასო სასადილოს ვეწვიეთ. პასუხების მიღება მისი მმართველისგან ქეთინო ბუკიასგან ვცადეთ. თუმცა, თავდაპირველად იგი შენობის პირველ სართულზე არ დაგვხვდა. Presage.tv-სა და „მაესტროს“ ჟურნალისტებს კი ბენეფიციარები ღია კარებით დაგვხვდნენ და როგორც საკუთარ სახლში, ისე შეგვიპატიჟეს. ვიდეოკამერის ობიექტივში თავიდანვე მოხვდა სასადილოს ჩანგრეული იატაკი, სადილის მომლოდინე უმწეოები და კედლიდან მომზირალი მიხეილ სააკაშვილი.

გადაღების აკრძალვის მცდელობის მიუხედავად, მუშაობას სამზარეულოში ვაგრძელებთ, სადაც ანტისანიტარიული მდგომარეობა სპეციალური გამოკვლევის გარეშეც აშკარად ჩანს. მზარეულები ერთმანეთს წინსაფრის აუცილებლობას ახსენებენ და მის ძებნაში ერთმანეთს ეცილებიან. რამდენიმე წუთში სასადილოში მმართველი ბუკია ჩნდება, რომელიც ჟურნალისტების ვინაობას ადგენს, თუმცა არ ინტერესდება მათი მისვლის მიზეზით. ქეთინო ბუკია ტელეფონით ჩვენთვის უცნობ პირებს უკავშირდება და ჟურნალისტების მოულოდნელი ვიზიტის შესახებ ინფორმაციას აწვდის. **„პრობლემის გაადვილების“ მიზნით მთავარ შეკითხვას, – თუ რატომ არის გაკრული შენობის კედელზე „ნაციონალური აბრა“, – წინასწარ ვატყობინებთ.**

სატელეფონო საუბრის დასრულების შემდეგ სასადილოს მმართველი კომენტარზე უარს აცხადებს და შენობისკენ ჩქარი ნაბიჯით მიიწევს. ჩვენ ინტერვიუზე უარის მიზეზით ვინტერესდებით, თუმცა ქალბატონი ბუკია კარებს ცხვირწინ ისე გვიხურავს, რომ ლამის ხელებს გვიყოლიებს. ბუკია კარის სახელურს მთელი ძალით ებღაუჭება და ბენეფიციარებისგან გასაღების



მოგებას ითხოვს. მას შემდეგ, რაც კარის ჩარაზვა, სავარაუდოდ, ვერ მოახერხეს, ქეთინო ბუკია ბენეფიციარებისგან ჟურნალისტების ჩამოშორებას და მათ მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას მოითხოვს. ამის შემდეგ კარი იხსნება, ჩვენ მთავარ კითხვას ისევ ვსვამთ, მაგრამ ბუკია უკანა გასასვლელით გადის...

სასადილო ოთახში დარჩენილი მე და ოპერატორი სოსო ხოფერია მოულოდნელად, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით და ბენეფიციარების თავდასხმის ობიექტები ვხდებით. უმწეო, მზრუნველობამოკლებული და თითქოს უსუსური მოხუცებისგან გამოვლენილი აგრესია ჩვენს გაოცებას იწვევს. სამწუხაროდ, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი „სხვა“ დაწესებულების ბენეფიციარებს უფრო შეეფერებოდნენ... კამერის დაზიანების მცდელობა, მჯიღების რტყმა და სიტყვიერი შეურაცხყოფების ატანა დატყვევებულმა ჟურნალისტებმა „ღირსეულად“ შევძელით, მაგრამ რკინის სკამის თავში აშკარად მოსალოდნელი ჩარტყმა უკვე მეტისმეტი იყო... სოსომ რკინის „ფეხები“ მოიგერია და თავის გახეთქვას გადაარჩინა...

**განწირული ადამიანის ხმით ჩემმა ყვირილმა „ბენეფიციარები“ ოდნავ დააშოშმინა, მაგრამ რკინის სკამით „შეიარაღებული“ მოხუცის „ვნება“ არ დაცხრა და შენობის გარეთ შეტევაზე უკვე რიყის ქვებით გადმოვიდა... სოსო ხოფერიას პოლიციაში დარეკვას ვთხოვ... ამ დროს ერთ-ერთი „უმწეო“ მიახლოვდება და „სიამაყით“ მეუბნება, ჩვენ კი არა, შენ დაგიჭერენ საცოდავო, კუდის უფროსი ჭაკუა ქეთინო ბუკიას მეგობარი მამაკაციაო...“ დაახლოებით 5 წუთში ინციდენტის ადგილზე 10-მდე პოლიციელი ჩნდება. 2 წუთში კი ყველა მათგანი გარბის და ჩვენთვის თავის არიდებას ცდილობს. იმავე ტერიტორიაზე აქტიურად მოძრავი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი ეჭვს იწვევს, რომ პოლიციის მაღალჩინოსანია, თუმცა კამერის წინ კატეგორიულად უარყოფს. რამდენიმე წუთში კი იგივე პირი პოლიციის სამმართველოში უფროსის მოადგილედ მეცნობა და შენობიდან მაძევებს...**

პოლიციის „რეაგირების“ იმედს ვკარგავთ და ტერიტორიის დატოვებას ვცდილობთ, თუმცა ჩვენს ყურადღებას ადევნებული ავტომანქანა იპყრობს, რომლის საჭესთანაც კუდი-ს ხობის სამმართველოს უფროსს დიმა ჭაკუას – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ჭაკუას უმცროს ძმას ვხედავთ. იგი ჟურნალისტების მანქანას დიდი სისწრაფით შორდება...

ხობის პოლიციის სამმართველოს ეზოში ავტომანქანით შევდივართ. შენობაში ჩართული კამერით ვმოძრაობ და ჟურნალისტების შეტყობინებაზე არრეაგირების მიზეზების დადგენას ვცდილობ... პოლიციელები უპასუხოდ მტოვებენ და ოთახებში იკეტებიან... პოლიციის უფროსის ლექსო რაფავას სამუშაო კაბინეტს ყოველგვარი „დაბრკოლების“ გარეშე ვეძებ... პოლიციის შენობაში ასე თავისუფლად „ნავარდის“ შესაძლებლობა დიდი ხანია არ მომცემია... მორიგე პოლიციელი რამდენიმე წუთში „აზრზე“ მოდის და მეორე სართულზე, უფროსის კაბინეტთან „წამიჭერს“... პოლიციელები შენობის დატოვებას და ზედ შესასვლელთან დაყენებული ავტომანქანის გაყვანას მოითხოვენ... საბოლოოდ, „მოქალაქე“ პოლიციის მოადგილე ჩემს გაძევებას ახერხებს...

პოლიციის შენობიდან მუნიციპალიტეტის გამგეობაში გადავდივართ და კითხვებზე პასუხების მიღებას გამგებლისგან გოგა ღურწკაიასგან ვცდილობთ. მასთან შეხვედრის საშუალებას შენობის დაცვის თანამშრომელი არ გვაძლევს. სატელეფონო საუბარში კი ღურწკაია კომენტარზე უარს „მოუცლელობით“ ხსნის და „გაფრთხილებას“ იძლევა, „პრობლემებს ნუ მიქმნით!“

**პრობლემები ჟურნალისტებმა კი არა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობიდან ხობის გამგებლის სავარძელში ცოტა ხნის წინათ გადასკუპებულმა ღურწკაიამ საკუთარ თავს თავადვე მაშინ შეუქმნა, როცა ტელეკამერების წინ ბეჟან გუნავას ცემის გამო თავი საქვეყნოდ „გაითქვა“. ხულიგნობის ბრალდებით გასამართლებულმა გოგა ღურწკაიამ 10-დღიანი სახდელი ხელისუფლების „მეცადინეობით“ მაშინ არა წინასწარი დაკავების საკანში, არამედ ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში „მოიხადა.“**

**ხელისუფლების „ზონდერად“ შერაცხული ღურწკაია სხვა „თანამოაზრეებთან“ ერთად 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ოპოზიციის მიტინგების დარბევასა და მომიტინგეების ცემა-ტყეპაში. აშკარაა, რომ ხელისუფლებამ გოგა ღურწკაიას „ნაციონალური ღვაწლი“ დაუფასა და მაღალ თანამდებობებზე ყოფნის მყარი გარანტიები მისცა...**

ნანა ფაჟავა,
ხობი

## აკადემია

# გაგრძელება იქნება...

**შარშანდელ ზაფხულში კიდევ ერთი სახელგანსმენილი უცხოელი წევრი შეემატა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ერთხმად არჩეული გერმანელი პროფესორის, კიოლნის უნივერსიტეტის ოტოლარინგოლოგიური კლინიკის დირექტორის კარლ-ბერნდ ჰუტენბრინკის სახით; და აი, სულ ახლახან თბილისში მორიგ ჯერზე ჩამოსულ პერ კარლს აკადემიის მედიცინისა და ფიზიოლოგიის განყოფილებათა საერთო კრებაზე საზეიმოდ გადაეცა უცხოეული წევრის საპატიო დიპლომი.**

ეს სასიამოვნო ფუნქცია სმეა-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ იკისრა (პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე აშშ-ში იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებით). უცხოელი წევრობის მაღალი პატივი, ისევე როგორც ორმაგი „ქართული“ საპატიო დოქტორობა – საქართველოს ოტოლარინგოლოგთა ასოციაციისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა – კარლ ჰუტენბრინკს ხვდა არა ოდენ გამორჩეული მეცნიერულ-დასტაქრული კვალიფიკაციის წყალობით, არამედ საქართველოს, ქართველი კოლეგების მეგობრობისაც, ქართველ სპეციალისტებთან ნაყოფიერი თანამშრომლობისაც.

ახლო ურთიერთობებს ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. 1979-ში დაიწყო და სამ ათეულ წელზე მეტია გრძელდება პროფესორ კარლ ჰუტენბრინკისა და შესანიშნავი ქართველი აუდიოლოგის, სმეა-ის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ზურაბ ქევანიშვილის შემოქმედებითი თანამოღვაწეობა, უკვე 34 მეცნიერული პუბლიკაციის მომტანი! ეს შრომები ინგლისურ, გერმანულ, ქართულ ენებზე გამოქვეყნდა პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში. ალბათ, გაძნელდება ქართველი და უცხოელი მკვლევარების ესოდენ ეფექტიანი თანაავტორობის მეორე მაგალითის გამოძებნა!..




წინა ასწლეულის მიწურულს ბატონმა კარლმა ასევე შესანიშნავ ქართველ დასტაქართან, პროფესორ შოთა ჯაფარიძესთან „თანასკალპელობით“ თბილისში არაერთი რთული ოპერაცია ჩაატარა. ახლა რამდენიმე ქართველი სპეციალისტის სტაჟირება იმის გერმანულ კლინიკაში! ეს ყველაფერი მართლაც რომ დამსახურებაა ჩვენი სახელოვანი აკადემიის უცხოელი წევრისა...

მივუბრუნდეთ „მიტოვებულ“ საერთო კრებას. სტუმარი ქართულად მოგვესალმა შეკრებილთ და მერე ინგლისურად განაგრძო პროფესორ შოთა ჯაფარიძის ჩინებული თარჯიმნობით. მოხსენების დაწყებამდე „დაგვემუქრა“ კიდევაც – სამშობლოში რომ დავბრუნდები, კვლავ და კვლავ მოვყვები, თუ რა ლამაზი ქვეყანაა საქართველოო... ეკრანიზებულ მოხსენებას ერქვა „კოლხეარული იმპლანტაცია: თეორია და კლინიკური პრაქტიკა“ და ცხოველი ინტერესიც დაჰყვა. სხვათა შორის, მსმენელთა შორის ბრძანდებოდა ჩვენი 97 წლის საამაყო ქალბატონი, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი (მომიტევოს ასაკის გამხელა...ძ და მომხსენებელს იმის მშობლიურ გერმანულ ენაზე მისცა შეკითხვა... სხვაც ბევრი დაისვა შეკითხვა და კითხვა-პასუხი რომ დასრულდა, ბატონმა კარლმა ისევ ქართულად გადაიხადა მადლობა... მერე ერთხანს დარბაზის გარეთ კედელზე გაკრულ დიდებულ „საქართველოს ფიზიოთერაპიულ მოდელთან (რელიეფურ რუკასთანძ“ იდგა და აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მეგზურობით „მოგზაურობდა“ ქვეყანაში...

ერთ მომენტში შემთხვევა მომეცა და ვკითხე – „გამარჯობასა“ და „მადლობის“ გარდა ქართულად კიდევ რა სიტყვები იცით-მეთქი. „ხაჭაპური“ და „დალევაო“, მიპასუხა...

გაგრძელდება საქართველოსა და ქართველ კოლეგებთან აკადემიკოს კარლ ჰუტენბრინკის მეგობრობა, ქართველ სპეციალისტებთან ნაყოფიერი თანამშრომლობა, ახალგაზრდა ქართველი ოტოლარინგოლოგების სტაჟირება. ქართული სიტყვების შესწავლაც გაგრძელდება...

თამაზ ეზანოიძე

## ინფორმაცია




### პოლიციის დღის აღსანიშნავი აღლუმი გორში გაიმართება

**6 მაისს პოლიციის დღის აღსანიშნავი აღლუმი გორში გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განუცხადა, წლევანდელი აღლუმი ბათუმში შარშან ჩატარებული აღლუმის ანალოგიური იქნება.**

**„აღლუმი იმავე ფორმატით ჩატარდება, როგორც შარშან – ბათუმში“, – აღნიშნა უტიაშვილმა. მისივე ინფორმაციით, გორში ღონისძიება 6 მაისს, სავარაუდოდ, 12:00 საათზე დაიწყება.**

**6 მაისი პოლიციის დღედ საქართველოში 2010 წლიდან აღინიშნება. ამ დღისადმი მიძღვნილი პირველი ღონისძიება 2010 წელს თბილისში გაიმართა, 2011-ში კი – პოლიციის დღე ბათუმში აღინიშნა.**

ინტერპრესი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რას ნიშნავს ევრაზიული კავშირი ვაშინგტონისთვის

**ორ საკვანძო მოვლენას, კერძოდ კი, ავღანეთიდან ამერიკული ჯარის დაგეგმილ გაყვანას, და კრემლში ვლადიმერ პუტინის დაბრუნებას, რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ წრეებში პოსტსაბჭოთა მეზობლებთან მოსკოვის ურთიერთობასთან დაკავშირებული მრავალწლიანი დებატების განახლება მოჰყვა. უკვე ყოფილი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ცდილობდა, მიეჩუმათებინა მოსკოვის მისწრაფება პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინირებისკენ და მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ავღანეთის ომის ირგვლივ თანამშრომლობის განვითარებას.**

მიუხედავად ამისა, რუსეთი რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებში სულ უფრო აქტიურად უწყობს ხელს ინტეგრაციის გაძლიერებას უამრავი ეკონომიკური ინსტიტუტის და უსაფრთხოების სტრუქტურების საშუალებით. პუტინი დიდი ხანია, რაც მსგავსი მიდგომის მხარდამჭერია, და მან საკმაოდ დეტალურად აღწერა ეს შარშან რუსულ გაზეთ „იზვესტია“-ში, გააკეთა რა მოწოდება „ევრაზიული კავშირის“ შექმნის შესახებ. ეს ევროკავშირის მსგავსი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებაა, რომელმაც მის წევრებს შორის ეკონომიკური კავშირები უნდა გააღრმავოს, საბოლოო ჯამში კი – გზა გაუხსნას უფრო მტკიცე პოლიტიკურ ინტეგრაციას.

ზოგიერთი უცხოელი მიმომხილველი ევრაზიის კავშირის შექმნაში ხედავს შენიღბულად საბჭოთა კავშირის აღორძინების მცდელობას, იმ საბჭოთა კავშირისა, რომლის დაშლასაც პუტინმა, როგორც ეს კარგადაა ცნობილი „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა. რასაც არ უნდა მოასწავებდეს ევრაზიული კავშირის შექმნა, საბჭოთა კავშირი ის ნამდვილად ვერ გახდება.

ამ ეტაპზე შეერთებულმა შტატებმა დასკვნები არ უნდა აკეთოს და მოსაზრებები არც უნდა გამოთქვას, ვიდრე პუტინის განზრახვები ევრაზიულ კავშირზე კარგად არ გაირკვევა – განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა თანაფარდობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს შორის და თავისუფლების ის ხარისხი, რომელსაც მოსკოვი მისცემს თავის მეზობლებს წევრობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

### მჭიდრო კავშირი?

**პუტინის ინიციატივაა გამოყენებულ იქნეს უკვე არსებული და მოქმედი მრავალმხრივი ინსტიტუტები, ისეთები, როგორებიცაა ჩანასახში მყოფი ერთიანი ეკონომიკური სივრცე, საბაჟო კავშირი, რომელიც აერთიანებს რუსეთს, ბელარუსს და ყაზახეთს, და ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა (რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ასევე ყირგიზეთს და ტაჯიკეთს, ხოლო ბელარუსს, მოლდოვას და სომხეთს მასში მეთვალყურეების სტატუსი აქვთ), როგორც სამშენებლო ბლოკები, რაც ხელს შეუწყობს უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირის შექმნას რუსეთსა და მის მეზობლებს შორის.**

ასეთ ევრაზიის კავშირს ექნება უფრო დაბალი სავაჭრო ბარიერები, შეთანხმებული ნორმები, რეგულირების წესები და სავალუტო პოლიტიკა, რასაც შემდგომში უფრო მჭიდრო პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვება. თუკი ეს ვინმეს ევროპული კავშირის განვითარების პროცესს აგონებს, ეს კეთდება შეგნებულად. პუტინი „იზვესტიის“ სტატიაში ამბობს, რომ ევრაზიის კავშირი შეიქმნება უშალოდ ევროკავშირის დარად, და ისეთ მოსაზრებასაც კი გამოთქვამს, რომ ძლიერი „ევრაზიული კავშირი“ ევროკავშირის ბუნებრივი პარტნიორი იქნება, რომელიც შეუთანხმდება ბრიუსელს მომავალში საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნაზე ატლანტიკის ოკეანედან წყნარ ოკეანემდე.

ახალი ევრაზიული კავშირის შექმნის ყველაზე დიდი უპირატესობა კოლოსალური ერთიანი ბაზრის შექმნა და საქონლისა და ადამიანთა გადაადგილებისთვის დაბრკოლებების შემცირება იქნება. მშრომელ მიგრანტებს ცენტრალური აზიიდან უფრო გაუადვილდებათ რუსეთში შემოსავლებისთვის გამგზავრება და მისი სახლში გაგზავნა კანონიერ საფუძველზე. ხოლო, რადგან სსრკ ხელს უწყობდა რეგიონალურ სპეციალიზირებას (მაგალითად, ცენტრალურ აზიაში მსუბუქი მრეწველობის ბევრი საწარმო იყოძ და ვითარდებოდა მიწოდებისა და მომარაგების ჯაჭვი, რომელიც კვეთდა რესპუბლიკურ, ახლა კი სახელმწიფოთაშორის საზღვრებს, ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ასევე საწარმოო ხარჯების შემცირებას იმის ხარჯზე, რომ ინტეგრაციული სივრცის თითოეული წევრი იმ დარგებზე მოახდენს კონცენტრაციას, რომელშიც მას ფარდობითი უპირატესობა გააჩნია.

თუმცა, პოსტსაბჭოთა სამყაროში ეკონომიკური ინტეგრაცია, პოტენციური საფრთხეების შემცველიც არის. ევრაზიული კავშირი, წევრი ქვეყნების ეკონომიკის პოსტსაბჭოთა სივრცეზე ორიენტირებით, შექმნის ბარიერებს ამ ქვეყნებს და გარე სამყაროს შორის. სინამდვილეში, როგორც ჩანს, რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი – უცხოეთის დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროს შეზღუდვაა, მაგალითად ჩინეთის – ცენტრალურ აზიაში და ევროკავშირის – უკრაინაში.




ყაზახეთთან, ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთან ჩინეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობა რუსეთისაზე დიდია, რასაც მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის თანდათანობითი შემცირება მოსდევს. ისეთი ქვეყანა, როგორც ყირგიზეთია, რომლის ეკონომიკაც სერიოზულადაა დამოკიდებული ჩინურ ინვესტიციებსა და ჩინური საქონლის რეექსპორტზე, შეიძლება ძალიან დაზარალდეს, თუკი ევრაზიული კავშირი შეუზღუდავს ჩინეთის წვდომას მის შიდა ბაზრებზე.

რა თქმა უნდა, რუსეთის მეზობლები ამჯობინებენ პირდაპირი კავშირების დამყარებას გარე სამყაროსთან, ამიტომ სკეპტიკურად ეპყრობიან რეგიონალურ ინტეგრაციას, რომელიც კიდევ უფრო მტკიცედ მიაბავს მათ რუსეთთან. თვალსაჩინოა შემდეგი რამ. ყაზახეთის, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსეთის ყველაზე ახლო სტრატეგიული პარტნიორია (ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა პირველმა წამოჭრა ევრაზიული კავშირის იდეა, და ეს 1994 წელსაც გააკეთაძ და ასევე ბელარუსის გარდა, რომელსაც არ აქვს დიდი არჩევანი, მას შემდეგ რაც, შარშან ანტისამთავრობო დემონსტრაციების დარბევის შემდეგ ევროპასთან ურთიერთობა გაწყვიტა, ამ პროექტის მიმართ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა დიდ ენთუზიაზმს არ ამჟღავნებს.

ყველაზე დიდი კითხვა უკრაინაა. კიევმა განაცხადა, რომ ევრაზიულ კავშირში არ შევა და ეს იმით დაასაბუთა, რომ წევრობა მას ხელს შეუშლის ევროპასთან შემდგომი ინტეგრაციის პროცესში. ფაქტობრივად, ყველა უკრაინელმა პოლიტიკოსმა იცის, რომ ეს პროცესი პრიორიტეტული უნდა იყოს ისეთ ინტეგრაციულ პროექტებზე, რომლებშიც რუსეთია ხელმძღვანელი. თუმცა „უარი“ რუსეთს არ აწყობს. გარდა იმისა, რომ ის ცდილობს, ხელი შეუშალოს უკრაინა-ევროკავშირს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმების ხელმოწერას, მოსკოვი მუდმივად და დაჟინებით სთავაზობს უკრაინას საბაჟო კავშირში გაწევრებას და ცდილობს, შეუერთდეს უკრაინის მილსადენური ქსელის მესაკუთრეთა რიგს იმ ვალების კომპენსაციის სანაცვლოდ, რომელიც კიევს აქვს გაზპრომის მიმართ. რუსი ექსპერტები აღიარებენ უკრაინის მონაწილეობის მნიშვნელობას ევრაზიის კავშირში, რაც აღნიშნული პროექტის საერთო წარმატებას უზრუნველყოფდა, და მოსკოვი, ამისთვის, როგორც ჩანს, მომავალშიც განაგრძობს კიევზე სერიოზულ ზეწოლას.

### ვის ეშინია ევრაზიული კავშირისა?

**ევროკავშირისგან განსხვავებით, საეჭვოა ევრაზიული კავშირი თანასწორთა პარტნიორობა იყოს. რუსეთის მოსახლობა 140 მილიონ ადამიანს შეადგენს, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რიცხოვნებით მეორე რესპუბლიკაში, უკრაინაში, სულ 46 მილიონი მცხოვრებია.** რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპძ მოცულობა დაახლოებით 1,4 ტრილიონი დოლარია, რაც უკრაინის ან ყაზახეთის მშპ-ს 12-ჯერ აღემატება. მეტიც, ევროკავშირი იბადებოდა ნელ-ნელა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თანაც დემოკრატიულად არჩეული მთავრობების ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ როდესაც პუტინს ევრაზიის კავშირის შექმნა 2015 წლისთვის სურს და არ აქვს მანდატი მინიჭებული არც რუსი და არც სხვა პოტენციური წევრი ქვეყნების მოსახლეობისგან.

რამდენად უნდა აშფოთებდეს ეს დასავლეთს? ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განხორციელდება ეს იდეა. პუტინმა, რომელიც სულ უფრო მზარდი შიდა გამოწვევების პირისპირაა, რომელთაგან პირველი – მასების მხრიდან რუსეთის ავტორიტარული და კორუმპირებული პოლიტიკით უკმაყოფილებაა, შეიძლება დროებით ევრაზიული კავშირის შექმნის და განვითარების გეგმა თაროზე შემოდოს. ხოლო იმის გამო, რომ წელს, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უნდა შევიდეს, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა შეიძლება მეორე პლანზე გადავიდეს.

ვაშინგტონმა ევრაზიული კავშირის შექმნის წინადადება ღიად და უპირობოდ არ უნდა გააკრიტიკოს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ფარისევლობა იქნებოდა ევრაზიაში რეგიონალური ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოსვლა და იმავდროულად ასეთი პროცესების მხარდაჭერა სხვა ადგილებში. შეერთებული შტატები პირადად არის დაინტერესებული იმით, რომ ცენტრალური აზიის რესპუბლიკები ვითარდებოდნენ და ყალიბდებოდნენ კარგად ფუნქციონირებად და წარმატებულ სახელმწიფოებად.

ევრაზიულ ინტეგრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს სტაბილურობას და კეთილდღეობას ამ რეგიონის დიდ ნაწილში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი ინტეგრაცია იქნება ნებაყოფლობითი, არ მოწყვეტს მის წევრებს გარე სამყაროსგან და სასარგებლო იქნება ყველა მისი წევრი სახელმწიფოსთვის. ჯერჯერობით უცნობია ის, პასუხობს თუ არა პუტინის მიერ შემოთავაზებული ევრაზიის კავშირი ამ კრიტერიუმებს. დასავლეთმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, და იმავდროულად მკაფიოდ განაცხადოს, რომ ის აბსოლუტურად სერიოზულად ეპყრობა რუსეთის მეზობლების უფლებას, თავად აირჩიონ ის, თუ ვისთან სურთ საერთაშორისო თანამშრომლობა.

**ჯეფრი მანკოფი,**
**სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) მეცნიერ-თანამშრომელი**

National Interest

# საქართველო დაგვპირდა, ჩრდილოეთ კავკასიაში „ცეცხლს არ ეთამაშოს“

**ოფიციალური თბილისი 2 მაისს საქართველოს პარლამენტში ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით დაგვპირდა, არ შექმნას პრობლემები რეგიონში, გადმოგვცემს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი თბილისიდან.**

დოკუმენტის ერთ-ერთმა ავტორმა, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ სტრატეგია გახდება პასუხი ყველა იმათთვის, „ვინც ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება“.

მან განაცხადა, რომ საქართველოს დასავლელ პარტნიორებს აინტერესებთ, როგორია თბილისის პოლიტიკა ჩრდილოეთი კავკასიის მიმართულებით. „რომ ჩვენი პოლიტიკა გასაგები იყოს მთელი მსოფლიოსთვის და ჩამოყალიბებულიც, გადაწყდა შეგვექმნა ასეთი კონცეფცია, – თქვა კანდელაკმა. – მასში არაფერია დესტრუქციული“.

კერძოდ, მისი სიტყვებით, საქართველო მზად არის, სტიმული მისცეს ჩრდილოეთი კავკასიის ახალგაზრდობის ინტერესს, ისწავლონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, დაეხმაროს თავის მეზობლებს ჩრდილოეთი კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის გამოკვლევებსა და ასე შემდეგ.

მისი სიტყვებით, საქართველოს ურთიერთობა ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან „სულ უფრო და უფრო ღრმავდება“.

როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ სტრატეგია მოიცავს ხალხთა შორის ურთიერთობების, ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ეკონომიკისა და ვაჭრობის, კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტის, აგრეთვე ისტორიული სამართლიანობის დადგენის სფეროში დახმარების კომპლექსურ საკითხებს.

„ჩვენ ვცხოვრობთ ერთ გეოგრაფიულ სივრცეში, საქართველო – კავკასიის განუყოფელი ნაწილია. საქართველო მთავარ ამოცანად მიიჩნევს შექმნას კავკასია, როგორც ერთიანი, სტაბილური, უსაფრთხო და განვითარებული რეგიონი“, – თქვა წიკლაურმა, პარლამენტში საპრეზიდენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ბაქოში საკონცერტო დარბაზიდან, რომელსაც აგებენ „ევროვიზიასთან“ დაკავშირებით, გერმანელი ჩამოვარდა**

**მენეჯერი გერმანიიდან ჩამოვარდა შენობიდან „ბაკუ კრისტალ ჰოლ“. მამაკაცი ცოცხალი გადარჩა, ის მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. „ევროვიზია-2012“ აზერბაიჯანში მაისის ბოლოს გაიმართება.**

* * *

**უკრაინის უშიშროების საბჭოს წყარომ განმარტა, თუ ვის და რატომ შეეძლო მოეწყო ტერორისტული აქტი დნეპროპეტროვსკში**



**სპეციალური სამსახური უკვე გვარწმუნებდა, რომ პოლიტიკა საქმეში არაა. შესაძლებელია, 4 ბომბი აფეთქდა ქალაქში გავლენათა სფეროების გაყოფასთან დაკავშირებით – წერენ, რომ მასში შეიძლება მონაწილეობდა რამდენიმე მილიარდერი „ფორბსის“ სიიდან. უკრაინულ ბლოგებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უფრო აქტიურად მუშავდება „პოლიტიკური“ ვერსია.**

* * *

**ავღანეთიდან ობამას გამოფრენიდან მოკლე ხანში ქაბულში სამი ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა**



**უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი აფეთქება მოაწყო ავტომობილის მძღოლმა თვითმკვლელმა ტერორისტმა. ამერიკის საელჩოში გამოცხადდა საგანგაშო სიგნალი. საელჩომ ჩართო სირენები და მოუწოდა თანამშრომლებს „დაიმალონ და მოშორდნენ ფანჯრებს“. პასუხისმგებლობა აფეთქებისთვის მოძრაობა „თალიბანმა“ იკისრა. ცნობილია ორი მსხვერპლის შესახებ.**

* * *

**გერმანელები ყოველწლიურად სულ უფრო ცოტა ლუდს სვამენ**

**2003 წელს საშუალო გერმანელი წელიწადში დაახლოებით 118 ლიტრ ლუდს მიირთმევდა, ხოლო ლუდსახარშების შემოსავალი დაახლოებით 9 მილიარდ ევროს შეადგენდა. 2011 წელს კომპანიებმა ლუდის დამზადებაზე გამოიმუშავეს 7,85 მილიარდი. რუსეთში ლუდის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 2010 წელს შეადგენდა, დაახლოებით 77 ლიტრს, მაშინ, როდესაც 2007 წელს იყო 81 ლიტრი წელიწადში.**



№82. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2012 წელი.



# ახლა ქართველებისადმი ლოიალობას ის აფხაზები ავლენენ, ვინც ადრე აგრესიული იყო და ომში აქვს მიღებული მონაწილეობა

**— ბატონო ომარ, რამდენადაც ვიცი, თქვენ გალიდან თბილისში ხშირად ჩამოდიხართ. აფხაზეთზე ინფორმაციებს სხვადასხვა საშუალებებით საკმაოდ ბევრს კი ვეცნობით, მაგრამ იქ მცხოვრები ადამიანის შთაბეჭდილებების მოსმენა საინტერესო იქნებოდა...**

— გარდა იმისა, რომ თბილისში ხშირად ჩამოვდივარ, პრაქტიკულად, მუდმივად აფხაზეთში ვცხოვრობ. 1993 წელს ომის დასრულების შემდეგ რუსეთში ვცხოვრობდი. 2008 წლის ბოლოს თბილისში ჩამოვედი. მანამდე რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი აფხაზეთში, კერძოდ, მშობლიურ გალის რაიონში. პირდაპირ გეტყვით: ახლა ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, როცა მე პირველად დავბრუნდი საკუთარ ოჯახში. ახლა საგვარეულო სახლში ვცხოვრობ და სოფლის მეურნეობით ვარ დაკავებული. შეიძლება ითქვას, პატარა ბიზნესიც მაქვს – მაქვს თხილის პლანტაცია და მას ვუვლი.

ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან. ყველას უნდა კარგად იცხოვროს. ჩემთან ხშირად სტუმრობენ ჩემი აფხაზი ნათესავები. ვცხოვრობ ჩემს ძველ მეზობლებთან, მაგრამ ძველი მეზობლების უმეტესობა ამჟამად გალის რაიონში არ დაბრუნებულა. რაც შეეხება აფხაზებთან ურთიერთობას, შემიძლია გულწრფელად გითხრათ, რომ ახლა მათთან ურთიერთობა თითქმის ისეთივეა, როგორიც ომამდე იყო. რაც მთავარია, ყველას კარგად ესმის, რომ ომი აფხაზებისა და ქართველებისთვის დიდი ტრაგედია იყო.

აფხაზ ნათესავებთან ტალავერის ჩრდილში ხშირად ვსაუბრობთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ჩვენი აზრი ასეთია – ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ იმას, რომ იყო ომი, მაგრამ ჩვენი ბავშვებისა და მათი მომავლის გამო ერთმანეთს ბოლომდე უნდა მივუტევოთ. ჩემი აზრით, აფხაზეთში ყველა დევნილი უნდა დაბრუნდეს. ქართველებმა და აფხაზებმა იმდენი ვიდავეთ იმაზე, თუ ვისი მიწაა აფხაზეთი, რომ დღეს აფხაზეთის მიწები მიტოვებული და დაუმუშავებელია. ძალიან მიხარია, რომ ბევრი აფხაზი ჩამოდის თბილისში. მინდა, რომ ქართველებსაც ჰქონდეთ აფხაზეთში უპრობლემოდ ჩასვლის საშუალება. ამისთვის კი საჭიროა ორივე მხრიდან გაიხსნას საზღვარი. როცა ხალხი ერთმანეთთან დაიწყებს მიმოსვლას, პოლიტიკოსების გარეშე თავად გაარკვევენ, ვის ვისთან უნდა ცხოვრება და რომელ ქუჩაზე ვინ უნდა იცხოვროს.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ პარტია „განახლებული საქართველოს“ აქტიური წევრი გახდით და ამ პარტიის ანგარიშზე 16 ათასი ლარიც შეიტანეთ, რის გამოც პრობლემები შეგექმნათ კონტროლის პალატასთან. ამ თემაზე ჩვენ აუცილებლად ვისაუბრებთ, მაგრამ მინდა გკითხოთ, რატომ გააკეთეთ თქვენ არჩევანი ამ პარტიაზე?“**

— უნდა დავაზუსტო, მე არ გახლავართ ამ პარტიის არც აქტივისტი და არც წევრი. საერთოდ, მე აპოლიტიკური ადამიანი ვარ. რაც შეეხება ჩემს არჩევანს, ამ პარტიის ხელმძღვანელებს პირადად ვიცნობ. ჩვენ არა მარტო მეგობრები ვართ, ნათესაური კავშირებიც გვაქვს. ვიცი, რომ ეს პარტია მოწადინებულია, აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა დათბეს, მათ ჰქონდეთ ერთმანეთთან თავისუფალი მიმოსვლის, ვაჭრობისა და უბრალოდ ურთიერთობის შესაძლებლობა. ამიტომ, გადავწყვიტე ამ საქმეში ჩემი წვლილი შემეტანა. სურვილი მაქვს, ამ პარტიის წარმომადგენლები მოხვდნენ პარლამენტში და იქ იყვნენ როგორც დევნილების, ისე ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის ლობისტები. ამიტომაც იყო, რომ ჩემი დანაზოგები შევიტანე პარტიაში „განახლებული საქართველო“.

**— რამდენადაც ვიცი, სწორედ ამის გამო შეგექმნათ პრობლემები საქართველოს კონტროლის პალატასთან?**

— დიახ. გახლდით გამოძახებული კონტროლის პალატაში. სამ საათზე მეტხანს მკითხავდნენ. აინტერესებდათ, თუ საიდან მქონდა შემოსავლები. მათ ავუხსენი, რომ მცირე ბიზნესი მაქვს აფხაზეთში, რომ მანამდე ვცხოვრობდი რუსეთში. ამ შენატანის გამო კონტროლის პალატამ 160 ათასი ლარით დამაჯარიმა. ჩემ მიერ თანხის შეტანიდან თვეზე მეტი გავიდა. მათ თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, ამის შესახებ სამ დღეში უნდა შეეტყობინებინათ როგორც ჩემთვის, ისე პარტიისთვისაც.

**— მაინტერესებს, თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქე?**

— დიახ, მე ვარ საქართველოს მოქალაქე, მაგრამ, როგორც გითხარით, პრაქტიკულად მუდმივად ვცხოვრობ აფხაზეთში. გალიდან ზუგდიდში მე პრაქტიკულად უპრობლემოდ იმის გამო დავდივარ, რომ მაქვს ძველი, საბჭოთა პასპორტი. შესაძლოა, პრობლემები იმის გამოც არ მექმნება, რომ პასპორტში ეროვნება აფხაზი მიწერია. სწორედ ამის გამოა, რომ აფხაზეთში პრობლემები არასდროს მქონია.

**— თქვენ დევნილთა სიაშიც ირიცხებით?**

— დიახ. ეს ავტომატურად მოხდა. მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეობას და, შესაბამისად, პასპორტს ვიღებდი. მოქალაქეობის მიღების მიუხედავად, მე ეროვნება არ შემიცვლია. რეალურად აფხაზეთშიც ვცხოვრობ და ხანდახან თბილისშიც. უნდა გითხრათ, რომ ჩემი აფხაზური წარმომავლობის მიუხედავად, კონტროლის პალატაში ძალიან ცინიკურადაც კი მექცეოდნენ.

**— კერძოდ?**

— მე მათ ვუთხარი, რომ ქართული ვიცი, მაგრამ ჩვენების მიცემა რუსულად მერჩივნა, რადგანაც რუსულად უკეთ ვმეტყველებ. ამაზე კატეგორიული უარი მითხრეს. ქალბატონმა ნათია მოგელაძემ ისიც მითხრა, რომ აუდიომასალაში ქართულად კარგად ვსაუბრობდი. ვერ გავიგე, რა საჭირო იყო ჩემზე თვალთვალით ვიდეომასალის გადაღება, რომელი კრიმინალი და დამნაშავე მე ვიყავი? საყურადღებოა ისიც, რომ ჩემზე მასალების შეგროვებისას მოუძიებიათ, რომ წლების წინ 100-ლარიანი საკრედიტო ბარათი არ მქონდა დაფარული. მედავებიან იმას, ადამიანს, რომელმაც 100-ლარიანი კრედიტი ვერ დაფარა, 16 ათასი ლარი საიდან მოიტანეო. თუ ჩემზე ამდენი მასალა შეაგროვეს, ისიც უნდა გაერკვიათ, რომ საბერძნეთიდან ამას წინათ 2 ათასი ევრო მივიღე, მოსკოვიდან ჩემმა დამ კი 15 ათასი დოლარი გამომიგზავნა.

**— ახლა რას აპირებთ?**

— 10 დღის ვადაში გავასაჩივრებ საქართველოს კონტროლის პალატის გადაწყვეტილებას, რომლითაც მე სახელმწიფოს ჯარიმის სახით 160 ათასი ლარი უნდა გადავუხადო. მეუბნებიან კანონი დაარღვიეო. კერძოდ, რომელი კანონი დავარღვიე, ვერ გავიგე. ამასთან, დაინტერესდნენ, ბანკში რატომ არ ინახავ ფულსო.

**— თქვენ რა უპასუხეთ?**

— მე ვუთხარი, რომ ფულს სწორედაც რომ 3-ლიტრიან ქილაში, სახლში ვინახავ. ფული ჩემი იყო და სადაც მინდოდა, იქ ჩავრიცხე. ბოლოს და ბოლოს, მე, აფხაზმა კაცმა, ფული აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობების მოგვარებისთვის გავიღე და რას მერჩიან, ვერ გავიგე.

**— საუბრის დასაწყისში აფხაზეთში ვითარების თემას ნაწილობრივ შევეხეთ, მაგრამ მაინც მინდა, გკითხოთ, მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთმა აღიარა, აფხაზეთში ჯერ დიდი ეიფორია სუფევდა, საქართველოს არსებობა აღარც კი ახსოვდათ, მაგრამ ახლა ინტერესი მაინც შეიმჩნევა. ამ თვალსაზრისით, თქვენი დაკვირვებით რა ხდება?**

— ახლა ძალიან ბევრი აფხაზი ჩამოდის თბილისში. ეჭვი მაქვს, რომ ბევრ მათგანს აქ უძრავი ქონება აქვს შეძენილი და ბანკებში ფულიც აქვთ დაბანდებული. რაც შეეხება აფხაზეთში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, ჩემი დაკვირვებით, ურთიერთობები თითქმის ისეთივეა, როგორიც ომამდე იყო. რიგ შემთხვევაში, უკეთესიც კი. ხალხი დაიღალა დაპირისპირებისგან. არც ერთ აფხაზს არ უნდა გადამთიელების გვერდით ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, გულის სიღრმეში იმათ იმ მეზობლებისა და მეგობრების დაბრუნება სურთ, ვისთანაც ომამდე ცხოვრობდნენ. ახლა სულ უფრო ხშირად საუბრობენ აფხაზები იმაზე, რომ აფხაზეთი აფხაზებისა და ქართველების საერთო მიწაა. ახლა ქართველებისადმი ლოიალობას ის აფხაზები ავლენენ, ვინც ადრე აგრესიული იყო და ომში აქვს მიღებული მონაწილეობა.

**— თქვენ როგორ გექცევიან თბილისში ადამიანები, როცა იგებენ, რომ აფხაზი ხართ?**

— ძალიან კარგად. მეტიც, ინტერესს იჩენენ. ეტყობა აქაურ ხალხსაც, აღარაფერს ვამბობ დევნილებზე, მოენატრა აფხაზეთი. თუ კონტროლის პალატაში დაბარებას არ ჩავთვლით, არ მახსენდება შემთხვევა, როცა თბილისში ყოფნისას თავი არაკომფორტულად მეგრძნო.

**— აფხაზები ხომ არ გსაყვედურობენ, რომ ომში მონაწილეობა არ მიგიღიათ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ამ თემაზე, ანუ იმაზე, ვინ იბრძოდა და ვინ არა, მათ ერთმანეთშიც ჰქონდათ კამათი...**

— ადრე ეს თემა მათში განიხილებოდა, მაგრამ ახლა ამ თემაზე საუბარი კარგა ხანია არ მსმენია. ახლა ქართველებისადმი ლოიალური დამოკიდებულება თბილ ურთიერთობებში გადადის. ახლა გალში იმ ადამიანებსაც არ აქვთ აფხაზებთან პრობლემები, ვინც იბრძოდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვიმეორებ, ქართველებისადმი ლოიალობას ისინი ამჟღავნებენ, ვინც იბრძოდა. ჩემი დაკვირვებით, ნაომარ ადამიანებს შორის გაჩენილი ურთიერთობის წყალობით ის კუნძულები გაჩნდა, სადაც ქართველებსაც და აფხაზებსაც ამოსუნთქვის, ერთმანეთთან დაახლოებისა და ურთიერთობების დალაგების საშუალება ეძლევათ. ადამიანები ცდილობენ, ერთობლივ ბიზნესზეც იფიქრონ და ერთმანეთს ხელი გაუწოდონ.

**— სხვათა შორის, ხშირად ვამბობ, ომამდე აფხაზებსა და ქართველებს ახალ ეკონომიკურ ვითარებაში რომ მოესწროთ მცირე და საშუალო ბიზნესის აწყობა, ომი არა მარტო გადავადდებოდა, შესაძლოა საერთოდაც არ მომხდარიყო...**

— აბსოლუტურად სწორს ბრძანებთ. თუ რაიმეს შეუძლია აფხაზეთში ომამდელი ვითარების დაბრუნება, ეს ეკონომიკა და ბიზნესია. აფხაზები ახლა ცდილობენ დანგრეული სახლების აღდგენას. ვიცი, ბევრი ახლაც უნახავს მეზობელსა თუ მეგობარს სახლს. არ ვამბობ, რომ ამგვარი განწყობა მასობრივია, მაგრამ ის, რომ ამგვარი ტენდენცია ძალას იკრებს და სულ უფრო ძლიერდება, ფაქტია.



„ინტერპრესნიუსი“ გალის რაიონში მცხოვრებ აფხაზს ომარ ჯოლიას ესაუბრა

**კობა ბენდელიანი**



## სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება განსაზღვრულია 2012 წლის 24 მაისს, 15:00 საათზე. ბანკის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ბანკის 2011 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორატის ანგარიში ბანკის 2011 წლის საქმიანობისა და ბანკის მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის შესახებ;
3. ბ-ნ კახა კიკნაველიძის სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის შესახებ;
4. მოგების განაწილების (დივიდენდების გადახდის) შესახებ;
5. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ;
6. დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ.

2012 წლის 24 მაისის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აქციონერებს წარუდგენენ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს „ერნსტ ენდ იანგის“ მიერ აუდიტირებული ბანკის 2011 წლის ფინანსური შედეგები.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში ბანკის 2011 წლის საქმიანობის შესახებ;
2. ცნობად იქნას მიღებული დირექტორატის ანგარიში ბანკის მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის შესახებ.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

1. ბ-ნ კახა კიკნაველიძეს გაუგრძელდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ვადა დამატებითი 4 წლით.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

2. დამტკიცდეს ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადება 2011 წლის შედეგების მიხედვით მოგების განაწილების შესახებ და მოგების ნაწილი მიმართულ იქნას დივიდენდების გასაცემად – ერთ აქციაზე 0.70 ლარის ოდენობით.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

1. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2012 წლის 8 ივნისი 18.00 სთ-ის მდგომარეობით (თანახმად ბანკის წესდების 5.2.1 პუნქტისა).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით:

1. დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2012 წლის 25 ივნისი (თანახმად ბანკის წესდების 5.2.2 პუნქტისა).

**ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრება გაიმართება სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზ “ოდიში” შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0103, თელავის ქ. №20.**

**აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2012 წლის 24 მაისს, 14:00 საათზე.**

**აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2012 წლის 23 აპრილი.**

**აქციონერთა საერთო წლიურ კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას 2012 წლის 14 მაისიდან სს „საქართველოს ბანკის“ აქციების რეგისტრატორთან – სს „კავკასრეესტრი“ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა, თბილისი, საქართველო.**

კალათბურთი

# აქეთურ-იქითური




**დღეს სუპერლიგის პლეი-ოფები იწყება – თბილისსა და ქუთაისში კალათბურთელ ვაჟთა XX ეროვნული ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერიის (2 მოგებამდე) პირველი მატჩები გაიმართება: „არმია“ – „სამედიცინო“ (12 საათზე), შსს აკადემია – „სოხუმი“ (14 საათზე), „ოლიმპი“ – „დინამო“ (16 საათზე) და „ქუთაისი“ – თსუ.**

თუ რეგულარული სეზონის შედეგებს გავითვალისწინებთ, ამ წყვილების გამოკვეთილი ფავორიტები ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ჯერაც დაუმარცხებელი ლიდერი – თავდაცვის სამინისტროს გუნდი და რიონისპირელები არიან. ალბათ, ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ მეტოქეს დინამოელებიც, აი, სამართალდამცავთა და ზღვისპირელთა დუელის გამარჯვებულის ვინაობა კი, ვფიქრობთ, ძნელი გამოსაცნობია.

შეგახსენებთ, ისინი შარშანაც აღნიშნულ ეტაპზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ წარმატება ლტოლვილთა კლუბს ხვდა წილად, თუმცა, ამჯერად ვითარება შეიცვალა – ბერძენი თავკაცით გეორგიოს ცეხელიდისითა და რამდენიმე კვალიფიციური ამერიკელი ლეგიონერით გაძლიერებული ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს არა მარტო სარევანშო, არამედ საფუძვლიანი სატიტულო ამბიციაც გააჩნიათ.



ეს, სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათაც დადასტურდა, როცა ყველა ვარსკვლავის შოუს საუკეთესო მოთამაშედ მათი გამთამაშებელი ლარი ბლერი აღიარეს, ხოლო ჩატენვების კონკურსი მისმა პარტნიორმა ჯასტინ ტაბსმა მოიგო.

მოკლედ, თავდავიწყება აწი იწყება.

* * *

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი-ოფების სტარტი მრავლისმეტყველი აღმოჩნდა – ბოლეებმა და მათმა ვარსკვლავებმა, სარბიელზე, რომ იტყვიან, ცეცხლი დაანთეს და სკეპტიკოსთა პროგნოზებს ცივი წყალი გადაასხეს.

**„ატლანტა“ – „ბოსტონი“ 80:87 (სერიის ანგარიში 1:1)**

მას შემდეგ, რაც ჯორჯიელები პირველი შეხვედრის სენსაციური მოგებით დაწინაურდნენ – 83:74, ჰაერში სიურპრიზის სუნი დატრიალდა, თუმცა კრიტიკულ ვითარებაში სტუმართა უბერებელმა ყოჩმა პოლ პირსმა ძველი დრო გაიხსენა და 36 ქულით თავის გუნდს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. დასანანია, რომ ზაზა ფაჩულია ტრავმის გამო ჯერჯერობით მაყურებლის როლს სჯერდება.

**„ლეიკერზი“ – „დენვერი“ 104:100 (სერიის ანგარიში – 2:0)**

38 ქულა – ასეთია კალიფორნიელთა მეგავარსკვლავის კობი ბრაიანტის პირადი მონაგარი. შეგახსენებთ, რომ იგი ახლახან გამოჯანმრთელდა.

მხატვრული ტანვარჯიში

# ეს იმედია საქართველოსი

**პენზაში (რუსეთი) დასრულდა ახალგაზრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს თასის ეტაპი, რომელშიც 23 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ გაბრიელა ხვედელიძე, სოფიო ფარულავა და სალომე ფაჟავა. გუნდურში ჩვენმა გოგონებმა 102,350 ქულით მე-2 ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილებზე 107,125 ქულით რუსეთის ნაკრები გავიდა, 101,450 ქულით მესამე იყო ბელარუსი**

ცალკეული საგნებით ვარჯიშისას ხვედელიძემ ორი ვერცხლი, ფარულავამ და ფაჟავამ კი თითო ბრინჯაო დაიმსახურეს.

**კვარცხლბეკი**

**რგოლი.** 1. იულია ბრავიკოვა (რუსეთი, 26,400ქ, 2. გაბრიელა ხვედელიძე (25,400ქ, 3. ელენა ბოლოტინა (ბელარუსი, 24,950ქ.

**ბურთი.** იანა კუდრიავცევა (რუსეთი, 27,450ქ, 2. ალია ასიმოვა (ყაზახეთი, 25.500ქ, 3. სოფიო ფარულავა (25.450ქ.

**გურზები.** 1. იულია სინიცინა (რუსეთი, 26.625ქ, 2. გაბრიელა ხვედელიძე (25.950ქ, 3. ეკატერინე ვოლკოვა (ფინეთი, 25.200ქ.

**ბაფთა.** 1. ალექსანდრა სოლდატოვა (რუსეთი, 26,875ქ, 2. კატსიარინა ჰალკინა (ბელარუსი, 26,500ქ, 3. სალომე ფაჟავა (25.550ქ.

ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშეები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებში გაიმართება. მანამდე კი 11-12 მაისს თბილისის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.



ჭადრაკი

# ზღვა, დაფა და ქულები

**ანაკლიაში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 69-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი და ნინო ხურციძე შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ). მედლების მფლობელებს წრიული სისტემა გამოავლენს. უკვე გათამაშდა ოთხი ტური.** 3,5 ქულით ერთპიროვნულად 18-წლიანთა შარშანდელი მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული მერი არაბიძე (ქუთაისი, მწვრთნელი ალექსანდრე არსენიძე) დაწინაურდა. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ხოტენაშვილი – 3, პაიკიძე, ბაციაშვილი, ხუხაშვილი – 2,5-2,5, გვეტაძე – 2, ბოკუჩავა, მელია, ჭარხალაშვილი, ლომინეიშვილი – 1,5-1,5, გურამიშვილი, ხურცილავა – 1-1 ქულა.





გამოიცა

**ჯერ კიდევ 1988 წელს ბერძნულ სალონიკებში ფიდეს საერთაშორისო კონგრესმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: „ვაღიარებთ რა ჭადრაკის დიდ აღმზრდელობით შესაძლებლობებს, რომლებიც თავის თავში შეიცავს მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის ელემენტებს, მის კეთილშობილურ გავლენას ადამიანის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაზე, გაეწიოს რეკომენდაცია ფიდეში შემავალი ყველა ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციებს, აქტიურად იმუშაონ ჭადრაკით დაინტერესებულ ყველა ასაკის ადამიანთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობის საყოველთაო საჭადრაკო სწავლებას“.**

## სწავლის მძებნელთათვის

და აი, წლეულს ევროპარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დაადგინა – ბევრი კონტინენტის ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჭადრაკი სასწავლო საგნად შეიტანონ. ამ პროექტის ავტორები არიან საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი და ევროპის ჭადრაკის კავშირის პრეზიდენტი სილვიო დანაილოვი. ყოველივე ეს არ არის შემთხვევითი: ჭადრაკის ჯადოსნურ სამყაროში მინიატიურული სახითაა ასახული ბრძოლით აღსავსე ჩვენი ცხოვრება. თვალნათლივ ჩანს ადამიანის გონების ძალა, ფანტაზია, ხასიათი, შრომისუნარიანობა, გემოვნება და მიდრეკილებები. ამავე დროს ჭადრაკი გვასწავლის ლოგიკურ, თანამიმდევრულ აზროვნებას, სხვისი აზრის პატივისცემას, სვლის რიგითობა მოგვიწოდებს მოთმინებისა და ზრდილობისაკენ. „ჭადრაკი, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, უკეთესია, ვიდრე ადამიანის ყველა წიგნი და ძნილება. იგი ერთადერთი თამაშია, რომელიც ყველა ხალხის და ეპოქის კუთვნილებაა“, – ბრძანა შტეფან ცვაიგმა.

ჭადრაკისადმი დღევანდელი დაინტერესების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გემოვნებიანად შედგენილ თაობაძ ბრძენთა თამაშის რთულ ლაბირინთებში გაირკვევა. ამ მხრივ, საქართველოში არც თუ ისე ცუდად გვაქვს საქმე. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა თენგიზ გიორგაძის ჭადრაკის სახელმძღვანელო, 2002 წელს ალექსანდრე არსენიძემ დასტამბა წიგნი „ჭადრაკი დამწყებთათვის“, ხოლო სამი წლის შემდეგ გამოვიდა გიორგი მაჭარაშვილისა და დავით გურგენიძის უნიკალური სახელმძღვანელო „ჭადრაკის გაკვეთილები“. ამას წინათ მათ რიგებს შეემატა მერაბ თხელიძის „ჭადრაკი დამწყებთათვის“. ბატონი მერაბი მათემატიკის პროფესორია, ჭადრაკში ეროვნული ოსტატი, ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი. წლების განმავლობაში მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და სპორტის აკადემიაში, სამწვრთნელო მოღვაწეობა დაიწყო 1960 წლიდან. ამ საქმიანობის გვირგვინს წარმოადგენს წიგნი „ჭადრაკი დამწყებთათვის“, რადგან მასში გადმოცემულია ავტორის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებაც. ბრძენთა თამაშის მოყვარულები თხელიძის ნაშრომში გაეცნობიან ჭადრაკის წარმოშობის ისტორიას და მისი შესწავლის მიზანს, ფიგურების მოძრაობის წესებს, საშამათო პოზიციებს, დებიუტანტების კლასიფიკაციას, სამოსწავლო პარტიებს, მარტივ ენდშპილებს... დიდი იოჰან ვოლფგანგ გოეთე ბრძანებდა, „ჭადრაკი გონების სასინჯი ქვააო“. ვინც მერაბ თხელიძის წიგნს გაეცნობა, ამაში კიდევ ერთხელ ნათლად დარწმუნდება.




**ვაჟა დანელია**

64 უჯრა

# VIII. ეტლი და მხედარი

**ჭადრაკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მხედარსა და ეტლს სვლების ევოლუციური ცვლილებები ლაზიერისა და კუსაგან განსხვავებით არ განუცდიათ.**

მათ თავისი მებრძოლი სულისკვეთება ზუსტად ისევე შეინარჩუნეს, როგორც თითოეულს „შთაბერა“ ჭადრაკის უცნობმა გამომგონებელმა.

თუ ეტლი და კუ მოითხოვენ დაფის მნიშვნელოვან სივრცეს, ეტლსა და მხედარს დაფის მცირე ნაწილზე შეუძლიათ „დაახრჩონ“ მოწინააღმდეგე.

შემთხვევითი არ არის, რომ დღემდე ჩვენამდე მოღწეული უძველესი ეტიუდებიდან მთავარ დამრტყმელ ძალას სწორედ ეტლი და მხედარი წარმოადგენენ („დილარამ შამათი“ – XII **ს. თ. შ.**ძ.

1936



გთავაზობთ „ჭადრაკის გენიოსის“ (ტარტაკოვერიძ პაულ კერესის (1916-1975ძ პარტიის დაბოლოებას შტალბერგთან (თეთრებიძ.

1... მf3!

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

ისტორია

# წითელი ჰოლა ბებია

## როგორ ჩააბარა ინგლისელმა ლედიმ სსრ კავშირს ბირთვული ბომბი

**უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისგან მას კაპიკიც არ მიუღია. „მე უბრალოდ ლენინზე ვიყავი შეყვარებული“, — აღიარებს შემდეგ ჯაშუში.**

**ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთში იყო ერთი ბებია — ღვთიური ბაბუაწვერა, სახელად მელიტა ნორვუდი. თავის სახლში, რომელიც კრედიტით ჯერ კიდევ 1937 წელს შეიძინა, ის უვლიდა ყვავილებს, აცხობდა ღვეზელებს. მეზობლებს მოხუცი უსათნოეს ქმნილებად მიაჩნდათ, თუმცა თავისი ახირებებით: ბებო თანაგრძნობას უცხადებდა კომუნისტურ იდეებს და აგიტაციას ეწეოდა გამოეწერათ მემარცხენე გაზეთი „მორნინგ სტარი“. მაგრამ 1999 წელს მოხუცის სახლთან მოცვივდნენ ჟურნალისტები. თურმე, „საყვარელი ბაბუაწვერა“ 40 წელი ეწეოდა ჯაშუშობას თავისი ქვეყნის — დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ — სსრ კავშირის სასარგებლოდ. წელს „წითელ ბებიას“ 100 წელი შეუსრულდებოდა.**


ჯაშუში გამოიყურებოდა, როგორც უბრალო დიასახლისი

### მდივანი — ჯაშუში

**ის 20 წელზე ოდნავ მეტი წლისა იყო, როდესაც მდივნად დაიწყო მუშაობა ბრიტანეთის ფერადი ლითონების სამეცნიერო კვლევების ასოციაციაში. იქ ნორვუდი შენიშნა ენდრიუ როტშტეინმა — ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა. ამ უკანასკნელის არჩევანმა ასი პროცენტით გაამართლა. მელიტას არაფერი გაეგებოდა მეცნიერებასა და ტექნიკაში, სამაგიეროდ მის ხელში უნდა გაევლო ასოციაციის პრაქტიკულად მთელ დოკუმენტაციას.** თანაც ის იყო სსრ კავშირიდან ჩამოსული, გარუსებული ლატვიელის ქალიშვილი, ნამდვილი კომუნისტი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა აღჭურვეს იგი მინიატიურული ფოტოკამერით. სწორედ ამ კამერით იღებდა ის დაზვერვისთვის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ მელიტას მოუწია წარმატებული ჯაშუშური საქმიანობის „დაკონსერვება“. ის თანამშრომლობდა აგენტებთან, რომლებიც მუშაობდნენ სამხედრო ქარხანა „ვულიჯის არსენალში“. სამი მათგანი 1938 წელს გაიშიფრა, დააპატიმრეს და ბრალი დასდეს სამშობლოს ღალატში. მაშინ ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ხელში აღმოჩნდა მეტად ძვირფასი ბლოკნოტი, რომელშიც კოდის ენაზე ჩაწერილი იყო საბჭოთა ჯაშუშების, მათ შორის ნორვუდის სახელები. მელიტა დაღუპვის პირას აღმოჩნდა. მაგრამ... ბრიტანელმა კონტრდაზვერვის მუშაკებმა შეძლეს ჩანაწერების მხოლოდ ნაწილის გაშიფრვა. მელიტას სახელი გასაიდუმლოებული აღმოჩნდა.

**ნორვუდი 40 წელი ასულელებდა ბრიტანეთის დაზვერვას.**

ხმაურიანი გამოააშკარავებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ნორვუდს მისცეს ნება გაეგრძელებინა ჯაშუშური საქმიანობა. სწორედ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში და გამარჯვების შემდეგ მდივანი ქალის — რუხი თაგუნას საქმიანობა ზესასარგებლო აღმოჩნდა სსრ კავშირისთვის. ფერადი ლითონების სამეცნიერო კვლევების ასოციაცია, სადაც ჯაშუში მუშაობდა, იყო ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია პროექტში „საგვირაბო შენადნობები“ — ნიკელისა და სპილენძის კვლევებში, რომელთა დახმარებითაც მეცნიერები ცდილობდნენ მიეღოთ ურანის იზოტოპები — 235 და შეექმნათ ატომური ბომბი. იდეური მელიტას წყალობით ინგლისელთა ყველა მიღწევა უმალვე ინერგებოდა საბჭოთა დამუშავებებში, სსრ კავშირის მთავრობაში კი ბრიტანული ბირთვული ბომბის შესახებ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს სამინისტროებში. პროექტის შესახებ იცოდა პრემიერ-მინისტრმა კლემენტ ეტლიმაც. მან კატეგორიულად აუკრძალა ყველა მეცნიერს, ახსენონ „საგვირაბო შენადნობები“ მთავრობის სხდომაზე და ამას ხსნიდა იმით, რომ არ შეიძლება ყველას ანდო საიდუმლო ინფორმაციაო. ეტლის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ „ყველა“, კერძოდ კი სწორედ ნორვუდი, უკვე დაეხმარა სსრ კავშირს მომზადებული ყო ატომური ბომბის აფეთქებისთვის 1949 წელს, და ამის გაკეთება რუსებმა ინგლისელებზე 3 წლით ადრე შეძლეს. მაგრამ მელიტას „სისაძაგლეები“ დიდი ბრიტანეთისთვის ამით არ დამთავრებულა. თავმდაბალი მდივანი ქალი წარმატებით იბირებდა კომუნისტური პარტიის მომხრეთა რიგებში სასარგებლო ჩინოვნიკებსა და მეცნიერ თანამშრომლებს.

„დისციპლინიანი და ერთგული აგენტი, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა დაეხმაროს საბჭოთა დაზვერვას“, — ასე ჩაწერეს ნორვუდის საქმეში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის აგენტებმა. მელიტას მეკავშირე იყო ურსულა ბერტონი — ზედმეტი სახელი სონია, დიდ ბრიტანეთში საბჭოთა საჯაშუშო ქსელის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. მას ჰოლა — მელიტას პარტიული თიკუნია — ინკოგნიტოდ ხვდებოდა ხოლმე ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში.


ბებიას სახლი ლონდონში

საინტერესოა, რომ უკვე 1945 წელს ბრიტანეთის კონტრდაზვერვა დარწმუნებული იყო — მელიტა ნორვუდი საბჭოთა ჯაშუში იყო. მაგრამ ამისი ვერანაირი დადასტურება სპეცსამსახურმა ვერ მონახა. „მე ბედისწერა მიცავდა“, — ირონიით იხსენებდა ხოლმე ნორვუდი.

კიდევ უფრო არაჩვეულებრივია ის ფაქტი, რომ მელიტა ნორვუდს, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობდა სსრ კავშირის საკეთილდღეოდ, ერთი კაპიკიც, ერთი გირვანქა სტერლინგიც არ მიუღია უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისგან. „მე მხოლოდ იდეისთვის ვმუშაობდი, ვაღმერთებდი რუსებს, მაგრამ ამას მტკიცედ ვმალავდი. მე ლენინზე ვიყავი შეყვარებული“, — აღიარა შედმგომში მელიტამ. ერთადერთი, რისი მიღებაც ინება „წითელმა ბებიამ“ მადლობის სახით სამშობლოს გაყიდვისთვის, ეს იყო პენსია სიცოცხლის ბოლომდე თვეში 20 გირვანქის ოდენობით და წითელი ვარსკვლავის ორდენი, რომელიც მას, რასაკვირველია, საიდუმლოდ გადასცეს.

### უქმად არ ჩაუვლია

**„საბჭოთა დაზვერვის ბებია“ გამოააშკარავეს სრულიად შემთხვევით. 1992 წელს არქივარიუსმა ვინმე ვლადიმირ მიტროხინმა გადაწყვიტა კარგად მოეწყო თავისი ცხოვრება. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, როდესაც მზვერავები დედაქალაქის იასენევოს რაიონში ახალ შენობაში გადაჰყავდათ, მიტროხინმა საყოველთაო არეულობაში შეძლო გადაეღო ბევრი საიდუმლო მასალის ასლი.** გამყიდველს გამოჰქონდა მონაცემები ფეხსაცმელებსა და წინდებში გადამალვით. მან ძვირფასი განძი ალუმინის კონტეინერებში დაფლა მიწაში თავის აგარაკზე და ელოდებოდა თავის საათს თითქმის 20 წლის განმავლობაში. 1990-იანი წლების დასაწყისში ფხიანმა მიტროხინმა შესთავაზა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეესყიდათ მისი არქივი. მაგრამ ამერიკელებმა არ დაუჯერეს არქივარიუსს და უარი უთხრეს. აი დიდ ბრიტანეთში კი მას დიდი სიხარულით შეხვდნენ. მიტროხინმა რუსეთიდან გაიტანა ექვსი ჩემოდანი დოკუმენტებით, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვას 1930-დან 1980 წლამდე. მიტროხინს, „წითელი ბებიისაგან“ განსხვავებით, ჯილდოს იმედი ჰქონდა. თავისი ქვეყნიდან გაქცეულმა თავისი სამსახურისთვის მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა, „სახლი სოფელში“ და პენსია სიცოცხლის ბოლომდე.

დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ კი ბევრი საინტერესო რამ გაიგო. მიტროხინის მიერ გატანილ დოკუმენტებში, სხვა ჩინოვნიკებთან ერთად, რომლებიც ეწეოდნენ ჯაშუშობას სსრ კავშირის სასარგებლოდ, იყო მელიტას სახელიც. ბრიტანეთის პარლამენტში ერთი სკანდალი ატყდა. ჩინოვნიკები მოითხოვდნენ ციხეში ჩაესვათ 87 წლის დედაბერი, რომ მას მთლიანად გადაეხადა საზღაური 40-წლიანი ღალატისთვის. მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ, როგორც ჭეშმარიტი ინგლისელი, ინარჩუნებდა შეურყეველ სიმშვიდეს, მან კატეგორიული უარი განაცხადა „ეწამებინათ ბებია და პატივი ეცათ მისი ჭაღარისთვის“. თავად ნორვუდი უსაზღვროდ იყო გაოცებული, რომ გახსნეს: „მე ვფიქრობდი, რომ ეს უქმად ჩამივლიდა. თუ ციხეში ჩამსვამენ, როგორც იქნება, წავიკითხავ, ბოლოს და ბოლოს, მარქსს...“ მას ჩადენილი სულაც არ მოუნანებია: „მინდოდა, რომ რუსეთს შესძლებოდა ლაპარაკი დასავლეთთან, როგორც თანაბარს თანაბართან. მე ყოველივე ამას ვაკეთებდი იმიტომ, რომ ველოდებოდი — რუსეთს თავს დაესხმიან, როგორც კი დამთავრდება ომი გერმანიასთან. ჩემბერლენს ხომ ჯერ კიდევ 1939 წელს უნდოდა, რომ თავს დასხმოდნენ საბჭოთა კავშირს, ის ხომ ჰიტლერს აღმოსავლეთისკენ უბიძგებდა... და მე ვაკეთებდი იმას, რასაც ვაკეთებდი არა ფულისთვის, არამედ იმისთვის, რომ თავიდან აგვეცილებინა დამარცხება ახალი სისტემისა, რომელსაც ძვირი დაუჯდა ის, რომ უზრუნველყო უბრალო ადამიანები ხელმისაწვდომი კვების პროდუქტებითა და ტრანსპორტით, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვით... ანალოგიურ ვითარებაში მე კვლავ ისე მოვიქცეოდი“.

საყვარელი ბებიის მეზობლებს, მისი 50 წლის ქალიშვილისგან განსხვავებით, რომელიც გაჰყვიროდა: „მე სულაც არ ვიცნობ დედაჩემს!“, მელიტა არ დაუგმიათ. ისინი კვლავინდებურად უღიმოდნენ და ესალმებოდნენ მას შეხვედრის დროს და სიამოვნებით ღებულობდნენ მისგან „მორნინგ სტარს“, რომ წაეკითხათ იგი.

ვალენტინა ოზერემკო


ბრიტანეთის პირველი ატომური ბომბი

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

---

გახსენება

# დაგმარა ცანავა



დიდი ტკივილი დაგვიტოვა მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. მარტის დამლევს ჩვენს რიგებს გამოაკლდა ამაგდარი პედაგოგი, მეცნიერებათა კანდიდატი **დაგმარა ცანავა**.

საოცარი გული ჰქონდა — სითბოთი და სიყვარულით სავსე, სიკეთეს თესდა და სიკეთესვე იმკიდა: კოლეგებისა და აღსაზრდელების უანგარო სიყვარულს, მოწიწებას, თაყვანისცემას.

...ხანგრძლივი და გაჭიანურებული ზამთრის შემდეგ უჩვეულოდ მოისარკა ცა, მაგრამ მის მეგობრებს გაზაფხულის ნანატრი მზეც ველარ გვათბობდა, დიდი თუ პატარა — ყველა, ვისაც კი ქ-ნი დაგმარას კეთილი გულის სითბო გვრგებია, თვალცრემლიანნი ვემშვიდობებოდით მას. კვათანის საყდართან იმ დღეს შემთხვევით მოხვედრილნიც კი მყის აღიქვამდნენ, რომ აბაშა (და არა მხოლოდ აბაშაძ, არაჩვეულებრივ ადამიანს — ჭეშმარიტად ქართველ ბანოვანს, მადლმოსილ, ამაგდარ პიროვნებას — ეთხოვებოდა.

...ქალბატონ დაგმარას, სულით ხორცამდე ინტელიგენტს, ძლიერ უყვარდა ზოგადად ლიტერატურა და, კერძოდ, ქართველ განმანათლებელთა პოეტური შემოქმედება. ამ წერილის შექმნისას დიდი ილიას ცნობილი სტრიქონები გაგვახსენდა: მართლაც, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ „კვალი განათლებული“ დარჩა.

ქ. აბაშის კერძო საშუალო სკოლის
„სწავლის ძირის“ პედკოლექტივი.

---

მიბრძანდება ქალბატონი
მწყაზარი და სათნო,
სპეტაკი და გულზიარი,
კეთილი და სანდო...
მარტის ციდან სიმარტოვის
განცდა გვაწვიმს, გვათოვს...
მგონი, ასე — მარტის თვეში —
ძმაც გაუშვა მარტო...

ძმაც და, მერმე გააცილა
ისიც, მძიმე ცრემლით —
ვისიც გახდა ერთადერთხელ
უღლის სანდო მცველი;
ვისთან ერთად საზიარო
აწვალებდა დარდი
ადრეულად დაკარგული
პაწაწინა ლანდის;

და ვის გამოც ფერადები
ექცა მარად თალხად;
და ვის გამოც ცრემლის
წყარო
არასოდეს გახმა;
და ვის გამოც ვერ იხდენდა
იებსა და ვარდებს;
და ვის გამოც საყვედური
ვერასოდეს ვკადრეთ...

დრო გარბოდა
ქუდმოგლეჯით
და, სიზმრებით რეულს,
ქარსა და სუსხს არ აკლებდა
სიფრიფანა სხეულს!..
დრომ მრავალი მოგონება
ჩაუკირა ქვაში,
მისიც ფანტა მარგალიტი
წვიმასა და ქარში...

მაინც ჩვენთან აბრუნებდა
(როგორც ყლუპი წყალი)
მორუდუნე ანგელოზის
მოალერსე თვალი.
ორი ვაჟის, შვილიშვილთა,
ახლობელთა შორის
ჩამოთეთრდა მარად ბებოდ
ის, ქალღმერთთა სწორი.

...და, რა ჩუმად გაგვეპარა
და არც რამე გვანდო!
გაგვეცალა ქალბატონი
გულსუფთა და სათნო;
და სულ მალე ხიდს გადივლის
სამეფოში ჩრდილის,
მიენდობა სანდო მკლავებს
ძმის, მეუღლის, შვილის.

...მინდა ვუთხრა: ვიცი, ვისიც
აქ დატოვე ფიქრი,
ვიცი... მას ხომ უბით უთბე
ლოცვაც, პურიც, წიგნიც...
მისი ნურა გეფიქრება,
რადგან — ბებოს გაზრდილს...
შენი ლოცვა და ალერსი
მხრებზე ოქროდ დასდის.

მიბრძანდება ქალბატონი,
ფრთამსუბუქი, თხელი...
წინ ჭვირვალი ლაჟვარდია,
უსასრულოდ ვრცელი...

მილდა ჩაგანავა

---

ინფორმაცია

## ჰააგის პოლიციამ 19 წლის ქართველზე ძებნა გამოაცხადა

**ჰააგაში 19 წლის ქართველ სანდრო გრიგოლიას ეძებენ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, გრიგოლია თანამზრახველ ზია ბორუკჩუსთან ერთად, საიუველირო მაღაზიას თავს დაესხა და იუველირი მოკლა.**




**მაღაზიაზე თავდასხმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. მასალაზე ნაჩვენებია, როგორ შედის ორი ადამიანი მაღაზიაში, იუველირს იარაღით ემუქრება და შემდეგ ესვრის. ეჭვმიტანილებზე ინფორმაციის მიწოდებისთვის ჰააგის პოლიციამ ჯილდოდ 15000 ევრო დააწესა.**

**საქართველოს საელჩო ნიდერლანდებში მომხდარის შესახებ ინფორმაციას არკვევს.**

## დაიჯესტი

### უფლისწული და გლეხის ქალი




**მე-20 საუკუნეში მაღალ საზოგადოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი ინგლისის სამეფო გვარს უკავშირდება, როცა მეფე ედუარდ VIII ტახტიდან გადადგა, რათა ცოლად ქმარგაყრილი ამერიკელი ქალი შეერთო.**

მერე იყო და 1959 წელს იაპონიის ახლანდელმა იმპერატორმა აკიჰიტომ, რომელიც იმხანად ტახტის მემკვიდრე იყო, უბრალო გვარის ქალი შეირთო, ხოლო 1990 წელს მათმა ვაჟიშვილმა, უფლისწულმა ფუმიჰიტომ იგივე ქნა. სადღეისოდ ასეთი ფაქტი მრავლადაა: ახლახან გავრცელდა ცნობა, რომ კონსერვატიულობით ცნობილი ჰიმალაის ჯუჯა სამეფოს ბუტანის მეფეც კი გლეხის ქალის შერთვას აპირებს.

რა არის ეს, მონარქიულ ფასეულობათა კრიზისი თუ დემოკრატიული ამბოხი? ალბათ, არც ერთი, არც მეორე, იმიტომ რომ ლამაზი, მომხიბლავი, ჭკვიანი და მიმზიდველი ქალი ქვეყანაზე უფლისწულზე გაცილებით მეტია.

### ბურბონების ცხვირი, შრიუსბერების ხელები

**საგვარეულო ნიშნები, რომლებიც თაობიდან თაობაში ასეულობით წლის მანძილზე გადადის, გაოცებას იწვევს.**

**ამის დამადასტურებელ მაგალითად დიდ რუს მეცნიერს კ.ტიმირიაზევს ბურბონების ცნობილი ცხვირი მოჰყავდა, რომელიც, კერძოდ, ჰერცოგ ნემურს გამოჰყვა, მიუხედავად იმისა, რომ მის სისხლში საფრანგეთის მეფე ანრი V-ის სისხლის მხოლოდ ასოცდამერვედი ნაწილი იყო!**

საგვარეულო ნიშნების გენეტიკურად გადაცემის კიდევ უფრო გასაოცარი მაგალითებიც არსებობს. რიგით მეთოთხმეტე ჰერცოგ შრიუსბერის ხელებზე პირველი და მეორე ფალანგები შეზრდილი ჰქონდა. ეს ნიშანი ჰერცოგების ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.



შრიუსბერების გვარის ფუძემდებლების ჯონ ტალბოტის აკლდამის გახსნისას, რომელიც ჟანა დ' არკის წინააღმდეგ ომობდა, აჩვენა, რომ ეს ნიშანი უცვლელი... ხუთი საუკუნის მანძილზე დარჩა!

### გაიაფება სვირინგის ფასად

**რაოდენ გასაოცარი უნდა იყოს, მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპასა და ამერიკაში მოდაში ძალუმად შემოჭრილი სხეულის მოსვირინგების მოდის ყველაზე პოპულარული სიუჟეტია... ცნობილი მოტოციკლების „ჰარლეი-დევიდსონის“ ემბლემა.**

ამ საფირმო ნიშნის პოპულარობა კი იმან განაპირობა, რომ თავის დროზე, როცა ოდესელმა მექანიკოსებმა ჰარლეიმ და დევიდსონმა ამერიკაში მოტოციკლეტების წარმოება დაიწყეს, სარეკლამო მიზნებით მათ ფასდაკლება გამოაცხადეს იმ ხალხისთვის, ვისაც მოტოციკლის ყიდვისას... მისი ლოგოტიპის სვირინგი ექნებოდა!

### გაჭირვება მანახეო...

**უამრავი გამოგონების ავტორი თავის აღმოჩენასა თუ გარკვეულ ტექნიკურ მიგნებას გარემოებათა ერთგვარ კომბინაციას, ზოგჯერ სულაც აუცილებლობას უნდა უმადლოდეს.**

ჩვენი თაობის მშობლებისთვის კარგადაა ცნობილი ის სირთულეები, რომლებიც ჩვილ ბავშვთა, გნებავთ სნეულ ან ხანდაზმულ ადამიანთა მოვლასთანაა დაკავშირებული, რომლებიც საფენების თუ სველი თეთრეულის გამოცვლასთან, მერე კი მათ რეცხვასთანაა დაკავშირებული. უკვე კარგა ხანია ეს პრობლემა წარსულს ჩაბარდა, რასაც ერთჯერად საფენებს უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ ბევრმა იქნებ არ იცის, რომ მათი გამომგონებელი, საქვეყნოდ ცნობილი კომპანიის „პროქტორ ენდ გემბლის“ წამყვანი ქიმიკოსი ვიქტორ მაილზია. ამის გამოგონება გარემოებებმა აიძულეს. საქმე ისაა, რომ დოქტორი მაილზი თავის ქალიშვილს ბავშვების მოვლაში ეხმარებოდა, რა დროსაც, ბუნებრივია, მრავალჯერ მოუწია შვილიშვილებისთვის სველი საფენების გამოცვლა, მერე კი მათი გარეცხვა-გაშრობა. მას ეს პროცესი ძალიან არ მოსწონდა, რაც სავსებით გასაგებია, ამიტომაც ერთ მშვენიერ დღეს ერთჯერადი თეთრეულის შექმნის




აზრი გაუჩნდა. შედეგად მან სითხის მაღალი შეწოვის უნარის მქონე ჩასაფენი შექმნა, რომელიც ზომისდა მიხედვით სხვადასხვა ასაკის ბავშვის საცვალში ეტევა, თუმცა კი მანამდე ბევრი მუშაობა დასჭირდა. ასე გაჩნდა „პროქტორ ენდ გემბლის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროდუქცია, რომელსაც დღეს „პამპერსის“ სახელით ყველანი კარგად ვიცნობთ.

### თვითმკვლელი ვეშაპები

**ცოტა ხნის წინათ 60 უზარმაზარი ვეშაპი ავსტრალიის ერთ-ერთ სანაპიროზე ამოხტა. მსგავსი მოვლენა ადრეც მრავალჯერ მომხდარა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ მისი მიზეზის ახსნა მეცნიერებმა დღემდე ვერ შეძლეს. თანაც ნაპირზე ვეშაპების გარდა ასევე ხშირად ხტებიან დელფინებიც.**

ამ შემთხვევაში მეცნიერებმა მოხალისეთა დახმარებით, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლეს ცხოველთა დიდ სიღრმეზე გაყვანა და მათთვის სიცოცხლის შენარჩუნება. მაგრამ თორმეტი მათგანი ხელმეორედ ამოხტა წყლიდან ქვიშიან პლაჟზე და ადამიანებმა მათი გადარჩენა ველარ შეძლეს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „უნივერსიტეტები, ფაქტობრივად, შინაგან საქმეთა სამინისტროდან იმართება“

— ამბობენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, — სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, განსხვავებული აზრის სტუდენტები ვიდევნებით...

„ყველა სიახლე“.

### სააკაშვილის ჯანმრთელობის ცნობა მის ადმინისტრაციაში დაცული არ არის

რამდენჯერმე გაგზავნილ წერილზე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან „გურია ნიუსმა“ მხოლოდ ერთხელ მიიღო პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის ცნობა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული არ არის. არადა, კადრებში, რომლებიც ინტერნეტით გავრცელდა, კარგად ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს როგორ ერევა ფეხი და წონასწორობას კარგავს.

„საქართველო და მსოფლიო“.

### მალე გლეხებს საქონლის გადასახადს დაუწესებენ

გამორიცხული არ არის, მალე ახალი ტიპის გადასახადი დაწესდეს, რომელიც გლეხებს საქონლით სარგებლობისთვის დაუწესდებათ. საგანგაშოა ის, რომ საქონლები იყიდება მიზერულ თანხად და მათი ერთპიროვნული მფლობელები ან უცხოელები არიან, ან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები.

„რეზონანსი“.

### წნორში „ქართული ოცნების“ ოფისს ესროლეს

კახეთის საინიციატივო ცენტრის ცნობით, რამდენიმე დღის წინათ, წნორში „ქართული ოცნების“ ოფისს ცეცხლი გაუხსნეს. იმ დროისთვის შტაბში მყოფი ნოდარ კუტრიბაშვილი აცხადებს, რომ ტყვია კედელმა აისხლიტა და აივანზე მყოფ ბავშვს და მამაკაცს რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა.

„ახალი თაობა“.

### ივანიშვილი გაქურდეს

სააღდგომოდ, როცა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, ოჯახთან ერთად, სოფელ ჭორვილაში იმყოფებოდა, ხაკერებმა მის პერსონალურ კომპიუტერზე კიბერშეტევა განახორციელეს და საოჯახო ვიდეო-არქივი მოიპარეს.

„ქართული სიტყვა“.

## მადლობა

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ძვირფასო რედაქცია!

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით პირადად ჩემი, ჩემი ოჯახისა და აგრეთვე ჩემი დების სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა მეგობარსა და ამხანაგს, ყველა პარტიას, რედაქციასა და არასამთავრობო გაერთიანებას, ვინც გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება დედაჩვენის გარდაცვალების გამო.

პატივისცემით
კობა ბუჩუკური

## ანეკდოტები

**სახლში** მისულ გურულს ძაღლი გაავებული ყეფით შეხვდა.

— რა უთხარი, ქალო, ამისთანა, გოუმხილე ხომ, ქუჩიდან რო ევიყვანე!.

* * *

**კაცი** მივიდა გურულ ექიმთან, რომელმაც იგი გასინჯა და ტალახის აბაზანები გამოუწერა.

— მიშველის აი ტალახის აბაზანები? — ეკითხება პაციენტი.

— შველით რა ვიცი, ძამა, მაგრამ მიწას კი მიგაჩვევს.

* * *

**გურულმა** პორნოკასეტას უყურა. მივიდა სახლში და ცოლს ასწავლის.



— ასე ქენი!

ქნა ცოლმა.

— ეხლა ასე!

ისევ უჯერებს ცოლი.

— ეხლა იყვირე!

— სააკაშვილის კუბო დავდგი!..

* * *

**გურული** ცოლს:

— ქალო, ერთი წამი მაინც გაჩუმდი, გევიგო დეიქოქა თუ არა მანქანა!

* * *

**გურული** წავიდა ქორწილში ტაქსით, ტაქსი ძალიან ნელა მიდის. გამწარდა გური, აგვიანდება, მიუბრუნდა ტაქსისტს და ეხვეწება:

— ძამა, პატარა აუჩქარე, თუ არა გადევიდა აი ჯინსი მოდიდან და შევრცხვი კაცი!

* * *

**ბაღანიზა** ვიტამინები მინდა, — ეუბნება პროვიზორს ბადრია.

— რომელი, ბატონო?

— მრგვალი როა.

— გასაგებია, მაგრამ რომელი ა, ბე თუ ცე?

— მაგი სულერთია, პატარაა, კითხვა არ იცის ჯერ.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24